ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

წელიწადი მეცხუთე — ჯვირა, 13 ივლისი 1919 წ. № 146 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში, 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ სისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართი გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:— თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73

დამწუხრებულნი მეუღლე თეო ოტიას ასული ციცინეშვილისა შვილებითურთ: დათიკო და შალვა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფ. ჯურყვეთში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ექვსი თვის შესრულების გამო მაი

უსაყვარლესი: პირველის—მეუღლის და მეორესი—მამის

დიმიტრი ელიშუხოვის ძე გიგინეიშვილის

სულის მოსახსენებლად წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, დღე 13 მკათათვის. 2—2523—2

კვირას, 13 მკათათვეს ნაშუადღევის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდაცვალების დღიდან ნახევარი წლის შესრულების გამო გადახდილ იქნება პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი ქმრისა და მეგობრისა პოლკოვნიკ თავად

მიხეილ (მიშა) ლევანის ძე

შერვაშიძის

სულის მოსახსენებლად.

რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გულდათუთქული და უიმედოთ მყოფი კნეინა ნინო თომას ასული შერვაშიძისა. 1 2526—1

კვირას, 13 მკათათვეს, ნაშუადღევის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გარდაცვალების დღიდან ნახევარი წლის შესრულების გამო გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარი სიძის თ-დი პოლკოვნიკ

მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი კნეინა ნადეჟდა თომას ასული და თ-დი პლატონ გიორგის ძე წულუკიძე 1—2526—1

კვირას, 13 მკათათვეს, ნაშუადღევის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდაცვალების დღიდან ნახევარი წლის შესრულების გამო გარდახდილი იქნება პანაშვიდი პოლკოვნიკ თ დ

მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ საზოგადოებას განსვენებულის შეგობარი და პატივის მცემელი აფხაზობა. 1—2526—1

კვირას, 13 მკათათვეს, ნაშუადღევის 1 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გარდაცვალების დღიდან ნახევარი წლის შესრულების გამო გარდახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარი სიძის პოლკ. თ-დ

მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი დესპინე ანტონის ასული, ოლღა თომას ასული. ეკატერინე ესტატეს ასული და მიხეილ თომას ძე დიდია შვილებითურო 1—2526 1

დამწუხრებული ბებია ანნა, დედა ივლიტე და ლუბა, ძმები: მიშა და შალიკო ცაგარეიშვილები, ბიძიები: ბართლომე, ვარლამი და იას ინ მოსეშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 ივლისს ჭუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ინჟინერ

ალექსანდრე მიხეილის ძე ცაგარეიშვილის

ორმოცი დღის წირვა და ვანაშვიდი. 1—1

გულ-დამწვარნი: ვასილი იოსეს ძე, პეტრე ვასილის ძე თავისი მეუღლით და ალექსანდრე ვასილის ძე თოფურიძენი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალების (პარასკევს 11 მკათათვეს) პირველის მეუღლისა და დანარჩენების დედის

მაკრინე ივანეს ასული თოფურიძისა

რომლის გამოსვენება საკუთარი სახლიდან ჭ. ფოთში და დასაფლავება იმავე ქალაქის სასაფლაოში დანიშნულია სამშაბათს, 15 ამა მკათათვის 2 2526 1

მარიამ გრიგოლის ასული ტატიშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 13 ივლისს 12 საათზე იქნება შესრულებული ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში დაუვიწყარი მეუღლის და მამის

იპოლიტე ზურაგის ძე ტატიშვილის

სულის მოსახსენებლად

პირველი სარისხოვანი რესტორანი

„საქართველო"

პუშკინის სუჭა № 4, ტელ. 15—17.

ახლად შეკეთებული მშვენივრად მორთული მყუდრო კაბინეტებით. მუდმივი სადილ-ვახშმით საუკეთესო მზარეულის ხელმძღვანელობით

მზადდება საჭმელები როგორც ევროპიული ისე აზიური

სარჩო, ღომი, სასიკი და სხვა ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

სასმელები საზღვარგარეთის და ადგილობრივი ფირმების. სადილ-ვახშმის დროს დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, თავისუფალ ხელოვან ქალთაროს და პიანისტ გოგნიევის ხელმძღვანელობით.

მიიღება შეკვეთა ყოველ გვარ საამხანაგო სადილ ვახშამზე.

აფიციანტების პროცენტები მოსპობილია.

რესტორან „საქართველოში" ძალიან გრილა.

რესტორანი „საქართველო" ღია არის **ღამის 2 საათამდე.**

10—2525—1

დაიგეჭდა და გასასყიდად გამოვიდა
მიწის საკითხი საქართველოში
ალ. ასათიანისა

ი. 1. მიწად მფლობელობის ფორმები; 2. მიწად მფლობ. საზოგადო და კერძო საკუთრებითი; 3. სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა; 4. მიწად-მფლ. მასალები, სახაზინო, საეფლისწ. და ხიზნების მფლობელობა; 5. კერძო მიწად მფლობელობა; 6. კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფოსტი; 7. მეურნეობის პირობები; 8. სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა; 9. მეურნეობის დიფერენციაცია; 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11. რევოლუციური სააგრარო პოლიტიკა; 12. პოდოსიტყვაობა. წიგნის ფასი 10 მან. წიგნის მიღება შეიძლება გაზეთ „საქართველოს" კანტორაში და ყველა წიგნის მაღაზიებში. 10—უ—4

ცისქვილი
ძმ. ბაბაჯანოვებისა

ლებულობს ქოვლნაირ საფქვავს

ავლაბარში, ნუხის ქუჩა № 13. 10—2521—1

ქართული კლუბი

დღეს, კვირას, 13 მკათათვეს 1919 წ. ქართული კლუბის ბაღში წ. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა
ლატარია-ალეგრით

ლატარიაში ჩაგდებულია ძვირფასი ნივთები. სხვათა შორის: 500 მანეთიანი „ვეფხვის ტყაოსანი", ალ. ყაზბეგის მთელი თხზულებანი, შაქარი, თეთრი ფქვილი და სხვა,

გათოვი და მოხალისენი

გენერალ რომანოვსკის დოკუმენტი, რომელიც გაზეთმა „ბორბამ" გუშინდელ ნომერში გამოაქვეყნა, და რომელიც საქართველოს დღევანდელ ნომერში იბეჭდება, არც ქართულ პრესას და არც საქართველოს პოლიტიკურ წრეებს არაფერ ახალს არ ეუბნება. ყველამ დიდი ხანია ვიცით, რომ ბათომში, მოხალისეთა შტაბის ნაწილი შეუშაობს, მას შემდეგ რაც იქ ოსმალების ადგილი ინგლისელებმა დაიჭირეს და რომ მთხალისეთა ბათომის ეს ორგანიზაცია ფულით, პრესით და აგენტებით ცდილობს საქართველოს ავტორიტეტის დაცემას აჰარელთა თვალში და მის მაგიერ რუსეთის პრესტიჟის, აწევას.

არა ერთხელ მიგვიქცევია ჩვენი მთავრობისა და სარდლობის ყურადღება ამ გარემოებაზე და მოგვითხოვია, როგორც ერთისა ისე მეორესაგან, მდგომარეობის ჯეროვანი გათვალისწინებით სათანადო საპასუხო მოქმედების გაჩაღება. ვერ ვიტყვით, ეს ჩვენი ხმა, ყველა სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა ხმასთან შებამებული, არ ყოფილიყოს ყურადღებული და სახელმძღვანელოდ მიღებული, სადაც ჯერ არს. მაგრამ რაც გაკეთდა, ის სრულებით საკმარისი არ არის.

ბევრი ენერგია და სახსარია საჭირო იმ ანტიქართული განწყობილების გასაბათილებლად, რომელიც ზოგიერთმა მოღალატემ ამ მხარეში შექმნა და რომელსაც ფულით და მოსყიდვით ამყნის ადგილობრივ მცხოვრებლებზე მოხალისეთა რუსეთის ბათომის სააგენტო. ჯერ ბრძოლა არ შეწყვეტილა; იგი უფო და უფრო მწვავდება, რაც უფრო ვუახლოვდებით ამ დიდი ომის ტრაგედიის დასასრულს. საქართველომ უნდა დასჭიმოს თავისი ძალა და ღონე და ჯანგაუტეხელის თანდათანობით ბათომის ოლქს თავისი მკლავები შემოავლოს. სასაცილოა გენერალ რომანოვსკის სიტყვები, რომლითაც იგი არწმუნებს მთავარ შტაბს, აჰარელს ქართველები პირივით ეჯავრებათ სარწმუნოების სხვადასხვაობის ნიადაგზე ხოლო რაც შეეხება რუსეთს, მის მოვლენისაჰარასშარ ეშინია და ამით უნდა ვასარგებლოთო. თითქოს რუსის ხალხი მაჰმადიანი იყოს ან სისხლით და ხორცით მონათესავე აჰარლებისა.

რად დასჭირდა გენერალს ტყუილების მიწოდება თავის მთავარსარდალისათვის. ან რად სჭირია მოხალისეთა შტაბს ფსიხოლოგიური „საბუთების" ძებნა ადგილობრივ მკვიდრთა შორის თავის მოქმედების გასამართლებლად? მოხალისეთა რუსეთი თვით ატარებს სუბიექტიურ საბუთს ამიერ კავკასიის აღდგენილ სახელმწიფოთა დასაშლელად. ეს არის რუსეთის იმპერიალისტური ნებისყოფა და ბატონობის იდეა იმ ქვეყნებში, სადაც იგი რევოლუციამდე ბატონობდა. და რომელნიც საჭირონი არიან რუსეთის ფართო იმპერიალისტური გეგმის აღსრულებაში მოსაყვანად. ხომ ამ მიზნისთვის მოითხოვს გენერალი რომანოვსკი, რომ ბათომში სამი ოთხი ბატალიონი შესდგეს. ძლიერის არტილერიით და მრავალრიცხოვანი ტყვიის მფრქვეველით.

ამ ავანტიურას ფრთა არ უნდა გავაშლევინოთ, თორემ მერე ძნელი იქნება მისი ჩაჭრობა. ეხლა ადგილი არ აქვს ინგლისის ადგილობრივ სარდლობის მხრივ საქმეთა გაუცნობლობას, რაც პირველ ხანებში აუცდენელი იყო, და ამით აიხსნება ის გარემოება რომ ამ ბოლო დროს ბათომში პოლიტიკურად მომქმედ რუსობას პატივი აეყარა და ბარგსა ჰკრავს გასამგზავრებლად. საქართველოს მთავრობამ ეს მომენტი უნდა სავსებით გამოიყენოს და ინგლისის სარდლობასთან კონკრეტიული ნაბიჯი გადადგას, რათა საბოლოოდ აღგვილ და დაშლილ იქმნას ის მოხალისეთა ბუდე, რომელიც ბათომის ოლქში ბოლშევიკურ აგიტაციას მოციქულობს და შეიარაღებულ ძალას ჰქმნის ომისა და საერთო არეულობის გამოსაწვევად საქართველოს ტერიტორიაზედ

მენშევიკების პარტიული მუშაობა

ამ სწინათ მენშევიკების მთავარმა კომიტეტმა ცირკულიარი დაუგზავნა პროვინციის პარტიულ ორგანიზაციებს, რომლითაც პარტიულ ორგანოებს უკრძალავდა მართვა-გამგეობის საქმეებში ჩარევას; ამავე დროს ანალოგიური ცირკულიარი გამოსცა აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრმა, რათა ადმინისტრაცია განთავისუფლებული ყოფილიყო პარტიულ ხალხის გავლენისაგან.

ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ მენშევიკების პარტიული ეგოიზმი და სხვის საქმეებში ჩარევა სახელმწიფოს ამშენებლობით მუშაობას ხელს უშლიდა და რომ ეს ანორმალური მოვლენა იმდენად შემაშფოთარი შეიქმნა, რომ თვით მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი და მათგან დაყენებული შინაგან-საქმეთა მინისტრი იძულებული გახდნენ ცალკე ცირკულიარებიც გამოეცათ მის შესასუსტებლად. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ მენშევიკები ვერ დატოვებდნენ ძველ გზას, რომელზედაც აშენებულია მთელი მათი პარტიული აპარატი, ისინი არ უღალატებდნენ ნაცად ბერძს და თავიანთ აურიცხველ კლიენტელას, თუ გაამრავლებდენ, თორემ შემოკლებაზე არც კი იფიქრებდენ.

ამიტომ ახალი პილატები ტყუილათ იბანდენ ხელებს.

ამის შემდეგ ბევრი ყოფილა მაგალითი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მენშევიკებმა საქართველო გამოაცხადეს თავიანთ „ვოტჩინათ" და ახალი „ოპრიჩნიკები" პროპაგანდისტებისა და კომისარების სახით იყენებდენ და იყენებენ თავიანთ მდგომარეობას.

ვის არ ახსოვს, როგორ მოაბდინეს მენშევიკებმა თბილისის ქალაქის თვითმართველობის „ნაციონალიზაცია".

ჯერ კიდევ თვითმართველობაში მოსამსახურეებს არ გაეთავებიათ გაფიცვა და მოლაპარაკებას აწარმოებდენ, როცა თვითმართველობის ყველა ადგილები, იმ მოსაზრებით რომ მუშაობა არ შეწყვეტილიყო, გადაეცათ მენშევიკების კლევრტებს და რადგან ადგილები ბევრი იყო, ამიტომ მობილიზაცია მოხდა ყველა მიყრუებულ პროვინციების კლიენტების.

გაფიცვის გათავების შემდეგ მხოლოდ მხოლოდ ფორმისთვის იღებდა საბჭო თხოვნებს გარეშე ხალხისგან, ადგილები უკვე დაკავებული იყო „ჩელიადით"...

მაგრამ თუ მაშინ მენშევიკებს კიდევ ერთგვარი მორცხვობა ემჩნეოდათ, შემდეგ ისე გათამამდენ, რომ აღარ მალავენ და აშკარათ პარტიულ სამკვიდროთ გახადეს საქართველო.

ერობის არჩევნების დროს მენშევიკების პარტიამ გაბაცხადა, რომ ერობა არ შეიძლება პარტიულათ იყოს გამოყენებულიო, მაგრამ ეს საარჩევნო ხერხი გამოდგა.

საქმიან და მცოდნე ელემენტებს ერობაში ადგილი არ აქვს და უკვე ცნობილია, რომ ერობაში უბრალო სამსახურსაც ვერავინ შესძლებს თუ მენშევიკების პარტიის რეკომენდაცია არა აქვს თან.

და ეს ხდება უკვე ოფიციალურად, ასე თქმის ყველა დაწესებულებებში, გათავებული ქალაქის მილიციით.

რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ ცენტრალურ კომიტეტის ცირკულიარი, მხოლოდ ცირკულიარად დარჩეს.

ჩვენ მხოლოდ ის გვიკვირს რომ პროვინციის ორგანიზაციები კიდევ აქცევენ ამას ყურადღებას და ანგარიშს უწევენ მორალურად.

მაგრამ ყველაზე უფრო შეგნებულმა გურიის კომიტეტმა უფრო პირდაპირობა გამოიჩინა. 28 ივნისს შემდგარა გურიის ს.-დ. კომიტეტის სხდომა და კომიტეტს სხვათა შორის დაუდგენია, „მოისმინა რა ცენტრალური კომიტეტის წერილი პარტიულ ორგანიზაციების ადმინისტრატიულ და დემოკრატიულ საქმეებში უშუალო **არ ჩავრევის** შესახებ კომიტეტი ადგენს განაგრძოს **ძველი ნაცადი გზით** სიარული".

ეს გადაწყვეტილება გულწრფელია და კატეგორიული. ჩვენ მხოლოდ გვაკვირვებს, რომ „ერთობა" აუღელვებია ამ დადგენილებას. „გურიის კომიტეტის ასეთი დადგენილება, სწერს „ერთობა" ჩვენ მიგვაჩნია სრულიათ მიზან შეუწონელად. დარღვევათ პარტიულ დადგენილებისა და ჩვენ ვაკცევთ ამ გარემოებას ცენტრალური კომიტეტის და საკონტროლო კომისიის ყურადღებას. პარტიის ხელმძღვანელები ვალდებული არიან, მიიღონ ზომები ამ ერთი უმთავრესი ორგანიზაციის სწორ გზაზედ დასაყენებლად".

საკითხავია, ვინ უფრო სდგას სწორ გზაზე გურიის კომიტეტი, თუ მენშევიკების პასუხისმგებელი ბელადები.

შეუძველია „ძველ ნაცად გზას" არც ერთი და არც მეორე არ შორდება. პარტიული პროტექციონიზმი და „ჩემიანობა" ორივესთვის შეუცვლელი პრაქტიკაა.

მხოლოდ გურიის კომიტეტს უფრო მეტი გაბედულება აქვს, იეზუიტობას თავს ანებებს და პირდაპირ ააშკარავებს იმას, რასაც მენშევიკების მალალი წრეები საქმით აკეთებენ, მაგრამ სიტყვით მალავენ.

მაგრამ განა საქართველოში შეიძლება რამე დაიმალოს?

მენშევიკების სირაქლემებმა, მაგრად შეყვეს თავი რევოლუციის ბუჩქებში და ჰგონიათ, რომ ჰასუხს არავინ მოსთხოვს. რევოლუციის მორალისა და საქართველოს ღირსების დაცვა ყოველ შემთხვევაში სხვანაირ მოქმედებას მოითხოვდა...

პრესა

„ნორ-აშხატავორი" მე-137 ნომერში ბათუმზე სწერს შემდეგს:

„ბოლოს დროს ადგილობრივ გაზეთებში იბეჭდებოდა „სარწმუნო" წყაროებიდან მიღებული ცნობები, თითქოს პარიზის კონფერენციის განზრახვად ჰქონდეს ბათუმის სომხეთსა ან რუსეთთან შეერთება. ამ ცნობებმა დიდი განგაში ასტეხა ქართულ პრესაში. ყველა ორგანოთა ხმა იყო რომ, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, უბათუმოდ არსებობა არ ძალუძს. „ბათუმი ჩვენი ყოფილა და ჩვენიც უნდა იყოსო"—აი მთი ლეიტმოტივი". გაზეთი განაგრძობს: „ბათუმი ერთი ხელიდან მეორეში ხშირად გადადიოდა და მოკლე ხანში მრავალი ძალა უფლება გამოიცვალა და დღეს თვისი ფართო ასპარეზი ყველა ჯურის „მოღვაწეებს" გაუხსნა.

ახლა, ბნელი პროვოკატორები ხმებს ავრცელებენ, თითქოს ბათუმი უნდა სომხეთს მიეცეს. ქართული პრესა, იმის ნაცვლად, რომ სწორედ დაგფასებინა ეს ტლანქი ცნობა, აისხა იარაღი სომხეთისა და კერძოდ დაშნაკციუთუნის წინააღმდეგ. უდავოა რომ ბათუმი თვისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენს საქართველოს ბუნებრივსა და საუკეთესო გასავალს და რომ მისი პოლიტიკური და ეკონომიურ განვითარების საქმე დაზარალდება, თუ წაერთმევა ხსენებული სიმაგრე და ყურე.

ვერსალის დიპლომატებს საქვეყნოდ განუცხადებიათ სხვა ლოზუნგები და პრინციპები. მაგრამ ვიქვიტით, რომელიმე მათგანმა დაიცვას საკითხი რომ ბათუმი საქართველოს არ უნდა ეკუთვნოდეს. ჩვენის აზრით, არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც უფრო მეტი უფლება ჰქონდეს ბათუმზე, ვიდრე საქართველოს.

მაშასადამე, თუ ბათუმი უნდა ეკუთვნოდეს რომელიმე სახელმწიფოს, ეგ საქართველოა. მაგრამ ბათუმი თავისუფალი, გასავალია ზღვისკენ არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებისათვისაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეიძლებოდა მეზობელ რესპუბლიკათა და საქართველოს შუა შექმნა ინჟინერი დამოკიდებულებისა და კავშირებისა, რომელიც შესაძლებლად გაჰხდიდა, რომ ბათუმში გასავალი მათაც ჰქონდეთ. ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებ რომ საზავო კონფერენცია არ მოახდენს ისეთ დადგენილებას, რომელიც საბაბს მისცემს ეროვნებათა შორის ახალ ახალ გართულებასა, და მხედველობაში მიიღებს ადგილობრივი ეროვნებათა რეალურ ინტერესებს.

აი რისთვის არის უადგილო ქართულ პრესის განგაში და იარაღის ჩხერეა"!

„აშხატავორები" და „ნორ აშხატავორები" რომ თავიანთ პრეტენზიებს არ ამყარებდნენ აშკარა უსამართლობასა და მტაცებლობის პრინციპზე და უფრო ხშირ-ხშირად გაუწევდნენ, ანგარიშს ისტორიულს ეკონომიურს, სტრატეგიულს და საერთოდ სახელმწიფოებრივ არსებობის საფუძვლებს საქართველოისას, მაშინ ჩვენი ურთიერთობა ნორმალურ, კეთილ განწყობილ ხასიათს მიიღებდა და არც არავითარი დაბრკოლება დაუხდება წინ არც სომხეთს და არც სხვა რომელიმე ამიერ-კავკასიის ქვეყანას ჩვენი ტერიტორიით ზღვისკენ გასვლის საშუალება მიეცეს.

—

უკანასკნელი ცნობები

გერმანიამ ნოტა გაუგზავნა კლემანსოს, რომ გერმანიის ჯარების გამოსვლა აღმოსავლეთ გერმანიიდან თანდათანობით მოხდეს, თორემ ეროვნულ ბრძოლა შეიძლება გაძლიერდესო.

ზემო სილეზიის ეროვნ. ყრილობის წარმომადგენლებს თათბირი ჰქონდათ ზემო სილეზიის ავტონომიის შესახებ.

გერმანიამ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა.

საფრანგეთის კლერიკალ როიალისტები ვილჰელმისა და კაიოს ერთად გასამართლებას მოითხოვენ.

ოსმალეთის დელეგატებმა საზავო კონფერენცია მიატოვეს.

პატრონ განს!

ბატონი განი, რომელიც ცნობილი გახდა მით, რომ თავისი მოღვაწეობა გაზეთ „ერთობაში“ დააგვირგვინა „ნაციონალიზაციის“ წინააღმდეგ გამოსვლით, გაბრაზებული ამ გამოსვლის სკანდალური დასასრულით, მთელ თავის უკმაყოფილებას გაზეთ საქართველოს ანთხევს:

ჩვენ მოგვყავს მისი შენიშვნა სავსებით:

პოლიტიკური საჭურისების გაზეთი „საქართველო“ ერთი ხანია დიდ ყურადღებას გვაქცევს და როცა სხვა არაფერი აქვს სათქმელი, ჩააფრინდება უბრალო კორექტურულ შეცდომას და დაუზოგველად ღეჭავს. ერთ-ერთ ჩემ წერილში შეშლილის პერსონაჟის მაგიერ შეცდომით დაბეჭდილი იყო: შექსპირის პერსონაჟთაგანი. ეს შეცდომა მაშინვე გასწორებულ იქნა: მარა „საქართველო“ ამ საერთოდ მიღებულ წესს ყურადღებას არ აქცევს და მის გარშემო ხტუნაობით რამდენიმე დღეა თავს იქცევს. მას არც ჩვენი წერილების შინაარსი მოსწონს, მარა ჩვენ ხომ იმისათვის არ ვწერთ, რომ სპეკულიანტების გაზეთს მოვეწონოთ.

ჩვენ გვერდს აუხვევთ ბ-ნ გ—ნის გინებას, რადგან საქართველოში და მის გარეთაც, დღეს ყველამ უწყის, თუ ვინ სპეკულიანტობს და ვინ აწყობს თავის საქმეებს სპეკულიაციის საშუალებით.

ნამდვილ სპეკულიაციაზედ შორს, ხომ პოლიტიკური სპეკულიაცია მიდის და ამ მხრით გაზეთ „ერთობის“ სპეკულიაციამ ხომ რეკორდი აიღო.

ხოლო თუ ბ-ნი განი დღეს მხოლოდ გინებით გვიპასუხებს, ეს ადვილი ასახსნელია.

არავითარი არგუმენტი თავის გასამართლებლად მას აღარ დარჩენია როდესაც მისი არგუმენტები მისმა გაზეთმაც კი უარჰყო და ერთადერთ გამოსავალს გინებაში ჰპოებს.

ბ. განის წერილი ჩვენ რათ მოგვეწონება, როდესაც მის ამხანაგებსაც კი არ მოსწონთ და ამას საჯაროდ აცხადებენ.

გინებაში კი არჩევანი მას ეკუთვნის!

საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მესამე კონფერენცია.

(5—9 ივლისამდე).

ამ დღეებში დასრულებული ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენცია დიდმნიშვნელოვან მოვლენად ჩასათვლელია, როგორც პარტიის ცხოვრებაში, ისევე თავისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობითა და აზრით. ჩვენი პარტია სახელმწიფო მართვა-გამგეობის გარეშე სდგას; საქართველოს პოლიტიკურ ყოფაცხოვრების განწესრიგებაში ეროვნული-დემოკრატია პირდაპირ მონაწილეობას არ იღებს და ეს ითქმის განსაკუთრებით სახელმწიფოს შინაგან საქმეებზე, მაგრან არაპირდაპირი გავლენა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველ სფეროში იმდენად უტყუარია, რომ დამტკიცებას არ საჭიროებს და სწორედ ამიტომ პარტიის მოქმედებანი და აქტები მნიშვნელობას და ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. თვით პარტიისათვის დამთავრებულ კონფერენციას ის ცხადსაყოფელი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საერთო ყრილობა შესდგა პარტიაში მომხდარ კრისტალიზაციის შემდგომ და პოლიტიკურ საზოგადოებრივ მნიშვნელობის დადგენილებანი გამოტანილია, მაშასადამე, მთლიან და ნათლად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულის მიერ, რომელსაც ახასიათებს მიმდევართა სოციალ-პოლიტიკურ აზროვნების სრული შედეგება და იგივეობა. ამას ამტკიცებს უმეტესად ის საგულისხმო გარემოება, რომ პროგრამულ ხასიათის რეზოლუციებს კონფერენცია ერთხმად ადასტურებდა.

აღსანიშნავია ერთი თვალსაჩინო ფაქტი: იმ დროს, როდესაც ორი პირველი კონფერენციის მუშაობის უდიდესი დრო და წევრთა ენერგია უმიზნოდ, ხოლო პარტისათვის საზარალოდ, პირადულ ხასიათის კინკლაობაში იღეოდა და გაზვიადებულ პრეტენზიების სუბიექტების სათარეშოდ ხდებოდა ხშირად, მესამე კონფერენცია დინჯად და შესაფერი სერიოზობით არკვევდა და იხილავდა ყველა მის წინამდებარე საკითხებს, ყოველივე პირად ანგარიშებსა და თავმოყვარეობას მოშორებული. გასაგებია ამის შემდეგ, რომ ასეთი კონფერენცია დავალებულ საქმეს წესიერად შეასრულებდა და, რასაკვირველია, „უსკანდალოდაც“ დაიშლებოდა!

კონფერენციას სამოცამდე წევრი დაესწრო. წინანდელ კონფერენციებთან შედარებით ნაკლები რიცხვი იმით აიხსნება, რომ თითო წევრი წელს ხუთას ხმას საჭიროებდა; გარდა ამისა, ფინანსიურა, მიმოსვლისა და სხვა მიზეზების გამო ზოგმა ორგანიზაციამ სათანადო რიცხვიც ვერ გამოგზავნა, ხოლო ზოგი სრულებით მოკლებული იყო საშუალებას კონფერენციისათვის წევრი მიეცა მნიშვნელოვან პროვინციების დელეგატები თითქმის უკლებლივ გამოცხადდნენ: ყურადღებას იპყრობდნენ მოხევეთა და აფხაზეთის წარმომადგენლები.

კონფერენცია დაიწყო ხუთ ამ თვეს, დამთავრდა ცხრაში. ათ სხდომაზე კონფერენციამ სავსებით აწარმოერა მისთვის გათვალისწინებული მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში კონფერენციამ მოისმინა მრავალი მოხსენება, როგორც საორგანიზაციო, აგრეთვე საპროგრამო და პრინციპიული ხასიათისა.

ჩამოსულ დელეგატებს, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, ჰსურდათ დაწერილებით მოესმინათ ყველა ის მოვლენანი, რომელთაც ჩვენს პარტიაში ადგილი ჰპოვეს მეორე კონფერენციის შემდგომ და ის კონფლიქტები პარტიის მთავარ ორგანოებში, რომელთაც შედეგად მოჰყვა პარტიის ცხოვრებაში ცვლილებანი და ზოგიერთ წევრთა და მიმდევრების განდევნა თუ განდგომა პარტიიდან. მთავარ კომიტეტის მომხსენებელმა ი. მაჭავარიანმა და რ. ინგილომ კმასაყოფელად დაუსურათეს პარტიის უკანასკნელი ხნის უმთავრესი ეტაპები და ნათელჰყვეს ნამდვილი ვითარება იმ სამწუხარო ფაქტებისა, რომელთაც პარტიის ცხოვრებაში მრავლად ჰქონდათ ადგილი და რის გამო პარტიის მექანიზმი მოდუნდა და დაშლამდე მივიდა. კონფერენციას მოჰხსენდა პარტიის ცენტრალურ დაწესებულების ზოგიერთ ყოფილ წევრთა შეუსაბამო და პარტიის მთლიანობისა და სიწმინდისათვის მეტისმეტად საზიანო საქციელი და მათი ყოფაქცევის ნამდვილი სარჩული. ერთი „ფრთა“ მთავარი კომიტეტისა იწევდა აშკარა ავანტიურისა და რეკლამურ გზისაკენ და თავისი მოქმედებით ძირიან ფესვიანად ჰშლიდა პარტიის საფუძველს. მათი პრინციპებისა და ზრახვის მიღება ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკური credo-ს სრული უარყოფა იქნებოდა! ჩვენ გვირჩევდნენ ახალ გზითა და საშუალებით მიზნის მიღწევას, ხოლო ყოველი ჩვენგანისათვის ცხადი იყო, რომ „ახალი გზა“ პარტიის პრინციპებიდან „ქვას-ქვაზე“ არ დასტოვებდა და მისი მიღწევა ჩვენს პარტიას თვისი პროგრამულ დებულებათა უარის ყოფად დაუჯდებოდა! ეს „ფრთა“ უნდა ჩამოსპროდა ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას და „ვივისეკციის“ დროზე მოხდენით პარტიამ ახირებულად თავზე მოხვეული ავანტიურისტობა უკუაგდო და ავტორებს პრივილეგიად დაუტოვა. დაწყებული განწმენდა ბუნებრივ დასკვნამდე უნდა მისულიყო და ეს მეორე „ფრთის“ ჩამოშორებით შესრულდა. ორივე შემთხვევაში პარტიამ მოიგო: პარტიის სიწმინდეს და ჩაკვირვებულ ანალიზით ჩამოსხმულ პრინციპებს ჩვენ ვერ შევწირავდით ორიოდე „ადეპტს“ და „მებრძოლ“ „ლიდერებს“ ახალი ლაშქრის შედგენა ეურჩიეთ...

კონფერენციის მიერ გამოქვეყნებული რეზოლუცია ორივე მოხსენების გამო ეუბნა არა სტოვებს, რომ პარტიაში მომხდარი განხეთქილების ფინალით ყველა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია დაკმაყოფილებულია და, თუ არა სოციალისტურ მიმდინარეობათა შეერთება პრინციპიულად მიღებულ იქნა, ის აზრიც გასაგებად გამოითქვა, რა სახისა და შინაარსის მიმართულების გაერთიანებაა სასურველი და შესაძლებელი.

პროვინციიდან ჩამოსულ დელეგატების მოხსენებანი განსაკუთრებულ ინტერესებით მოისმინა კონფერენციამ: მათ აღნიშნეს ცენტრში მომხდარ არა სასურველ მოვლენების გავლენა პარტიულ მუშაობაზე, ხაზგასმით მიუთითეს პარტიის ცენტრალურ ორგანოს განსაზღვრულ დროის არა სასურველ მიმართულებაზე, იმედი გამოსთქვეს, რომ შემდეგში მთავარი კომიტეტი საიმედო პიროვნებას ჩააბარებს პარტიულ გაზეთის ხელმძღვანელობას და ყველამ ერთხმად დასძინეს, რომ მთავარ კომიტეტის ზომები ყველგან პროვინციაში მოწონებული და დადასტურებულია, ხოლო მავნე ელემენტების ჩამოშორება დელეგატების აზრით, მეტ სიმტკიცეს შეჰმატებს პარტიის მუშაობას და მის დაწესებულებების ზრდას აღარ შეაჩერებს. პარტიის ხელმძღვანელებს ჩამოსულ წევრებმა კატეგორიულად დაავალეს სასტიკ დისციპლინარულ ზომებს მიჰმართონ ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ პიროვნებისა, თუ ჯგუფის მოქმედება პარტიის პრინციპების წინააღმდეგ არის მიმართული, ჰვნებს და არღვევს შემუშავებულ გეგმას, რომლის თანახმად უნდა მიდიოდეს პარტიული მუშაობის საერთო გზები.

აფხაზეთის დელეგატების მოხსენებას და აფხაზეთის საკითხზე კამათს კონფერენციამ მთელი სხდომა მოანდომა. ეს ადვილი მისახვედრია, თუ მივიღებთ მხედველობაში ამ კუთხისადმი ყურადღებას საზოგადოების ყველა წრეებში. აფხაზეთის დელეგატები აღელვებულად მოუთხრობდნენ კრებულს იმ შემაძრწუნებელ მდგომარეობას, რომელშიაც ყოველად უვარგის და სახელმწიფოებრივად შეუგნებელ ადამიანების მეოხებით ჩაყენებულია ეს უმნიშვნელესი ქუთხე საქართველოისა! ჰჭლოვობს და სტირის აფხაზეთის ხალხი უზურპატორების უღელ ქვეშ,—აცსადებდნენ დელეგატები—და ამ ყოფაში სულ ცოტა ხანს გაჩერება ისეთ საშინელ შედეგებს მოგვიტანს, რომლის ოდნავი გათვალისწინებაც-კი ამ ჟამად შეუძლებელია! აფხაზეთი შველას გვთხოვს! შეწუხებულიხალხი ემუდარება მოძმე ქართველობას ადგილობრივ პირობებისა და ზნე ხასიათის პატივისცემელი ხალხი დააყენოს აფხაზეთის სათავეში და განაშორონ ისეთი პირები რომლნიც თავიანთის უპატიჭკობით, მოუხერხებლობით ჰკლავენ აფხაზებში ქარ თველებისადმი ტრადიციული სიყვარულს და მოკრძალებით პატივს.. ყოველი წუთი გამოსაყენებელია და დაგვიანება საშინელებას უდრის... დელეგატების მიერ მოყვანილი შემოწმებულ ფაქტებით კონფერენცია შეძრწუნდა. მიღებული რეზოლიუცია გვიჩვენებს, როგორი განუსაზღვრელი სიმპატიით ეპყრობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოს უხსოვარ დროის თანამოძმესა და თანამებრძოლს...

დამოუკიდებლობის მოპოების შემდგომ განვლილმა ჟამმა გაამართლა უმთავრესი დებულებანი ჩვენი პარტიისა და მერყევ და დაუდგრომელ სოციალისტურ გამგეობის უკუღმართობაშიაც ჩვენი მიმართულების საღი ხაზი მაინც აქა-იქ მოსჩანს. პოლიტიკური მესვეურნი იძულებული არიან შიგადაშიგ ჩვენი პროგრამით ახელმძღვანელონ და სადაც-კი ამ აზრით მოქმედობენ, ერი და სახელმწიფო მუდამ სარგებლობას ჰპოებენ... სპ. კედიას მოხსენება —საქართველოს პოლიტიკური სახე და ჩვენი დოქტრინა— ზემომოყვანილ აზრის ბრწყინვალე დასაბუთებას შეიცავდა. ეს მოხსენება ერთგვარი სინტეზი იყო სხვა პოლიტიკური მოხსენებებისა ჩვენს პოლიტიკურ პროგრამაზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, ჯარზე, თვითმართველობაზე, აგრარულ ვითარებაზე, და სხვა. ქვემომოყვანილი რეზოლიუციები ცხად ჰყოფენ პარტიის შეხედულებას სახელმწიფო მნიშვნელობის საგნებზე ქართველი ერის სუვერენობის განმტკიცება, სახელმწიფოებრივ ნორმების შეუდრეკელი დაცვა, სამოქალაქო ურთიერთობის შესაძლებლობის გამონახვა და ევროპიელ საფუძველზე აგება მართვა-გამგეობის აპპარატისა—აი მოკლედ ის, თუ გნებავთ, პროგრამმა მინიმუმი, რომელიც უნდა განხორციელდეს დღევანდელ უთავბოლოდ მომართულ საქართველოში...

დაუღალავად მუშაობდა ჩვენი პარტიის მესამე ყრილობა და დაგვარწმუნა, რომ „კრიზისის“ დამთავრება პარტიულ დოქტრინის სრულს გამარჯვებაში გამოიხატა. პირველ ყოვლისა ამას ჰგრძნობდნენ კონფერენციის მონაწილენიც, რომელთაც მესამე კონფერენციაზე მხოლოდ შეძლება მიეცათ მთელი ენერგიით მოჰკიდებოდნენ საქმეს, საქვეყნო ისტერესს—პირად კონფლიქტებს და ინტრიგებს მოშორებულნი...

საქმიანობა—ამით აღიბეჭდა მესამე კონფერენცია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის და ამით იმედი გვეძლევა, რომ შემდგომი მიმართული პარტიის ცენტრისა თუ პერიფერიებისა არ ულალატებს ამ ერთად ერთ მისაღებ პრინციპს...

თუ პირველი კონფერენციები გამთიშველი იყო,—ეხლა, საბედნიეროდ, ჩამოშორებული—ადამიანების წყალობით უმეტესობას უნერგავდა პარტიულ მუშაკთ, მესამე კონფერენციამ იმედიან, ოპტიმისტურ გრძნობებით აღჭურვა ყრილობის მონაწილენი განურჩევლად და, იქნებ, ამ გარემოებითაც აიხსნება ის, რომ წარსულ კონფერენციის წევრნი გულამღვრეულნი ჰშორდებოდნენ ერთმანეთს, დღეს ჟი საზეიმო ბანკეტით დააბოლოვეს ნამუშევარნი...

დაესწრო სამოცამდე დელეგატი. იქონია ათი სხდომა. წაკითხულ იქმნა 14 მოხსენება სხვა და სხვა საგანზე და ადგილობრივი ორგანიზაციების მოხსენებები პარტიულ მდგომარეობის შესახებ. მოხსენებათა უმეტესობას მოჰყვა სათანადო რეზოლუცია.

კონფერენციის მიერ გამოტანილი რეზოლუციები.

I. **რეზოლუცია ბ-ნ იოსებ მაჭავარიანის მოხსენების: მთავარი კომიტეტის განვლილი წლის მოქმედების ანგარიში და ბ ნ რ. ინგილოს მოხსენებაზე: პარტიული მდგომარეობა.**

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ. ბ. იოსებ მაჭავარიანისა და რაფიელ ინგილოს მოხსენებები: მთავარი კომიტეტის მოქმედებისა და პარტიული ცხოვრების შესახებ. კონფერენცია აღიარებს, რომ მთავარი კომიტეტი მტკიცედ ჰდგარა და შეძლების ფარგლებში ცდილა, მეორე კონფერენციის დირექტივები და სახელმძღვანელო პრინციპები ცხოვრებაში გაეტარებინა; აღიარებს რომ პარტიის ინტერესისა და იდეოლოგიის საფუძველზე მდგარ მთავარ კომიტეტის ნაწილს მუშაობის ნაყოფიერობაში ხელის შემშლელად ჰყოლიან ის პირები, რომელნიც სხვა და სხვა დროს ჯგუფ-ჯგუფად გავიდნენ კომიტეტიდან, ყოველგვარ ზნეობრივ მოვალეობის მოუხდელად პარტიის უზენაესი ორგანო—კონფერენციის წინაშე, რომელმაც ისინი მთავარ კომიტეტში აირჩია და პასუხისმგებელი უფლებებით აღუჭურვა; კონფერენცია სასურველად სცნობს იდეოლოგიის და ორგანიზაციის ორგული ხალხის მთავარ კომიტეტიდან და პარტიიდან წასვლას; აღნიშნავს რომ შეუძლებელი იყო ამ პაროქსიზმებს არ მოჰყოლოდა დროებითი და გარდამავალი ხასიათის კრიზისები, რომელიც, უნდა ითქვას, პარტიამ გაუჭირვებლად გადაიტანა და იმდენს გახდა, რომ ასეთ პირობებში დამფუძნებელ კრების არჩევნებზე ორჯელ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე წინა არჩევნებზე; კონფერენცია დიდ შედეგებს მოელის ამ გამოთიშულ ელემენტების ჩამოშორებისაგან ჩვენი იდეოლოგიური და ორგანიზაციული სიმტკიცის ასაგებად.

II. **რეზოლუცია ბ-ნ გ გვაზავას მოხსენებაზე: საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის ანგარიში**

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ გ. გვაზავას მოხსენება პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის შესახებ; აღნიშნავს, რომ ფრაქციას აღუნიშნავად და დაუფასებლად არ დარჩენია არცერთი ღირს შესანიშნავი მომენტი დამოვლენა ჩვენი სახელმწიფოებრ. ცხოვრებისა და რომ მისი გამოსვლები ყოველთვის სახელმწიფოებრივი ინტერესით იყო ნაკარნახევი და ატარებდა საქმიან კრიტიკის ხასიათს. კონფერენცია სრულის პოლიტიკურის კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ფრაქცია, ყოველ გარეშე საფრთხისა, თუ საქართველოს ფარგლებში მომქმედ შინაურ მტრების მიერ შექმნილ შინაურ გართულების დროს, ყოველთვის შინაური ფრონტის გაერთიანებისა და განმტკიცების მოციქულად გამოსულა და მხარი დაუჭერია საქართველოს მთავრობისათვის. კონფერენცია ავალებს საპარლამენტო ფრაქციას გააცხოველოს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიუღებელი პრინციპებისა და ყოველი მისი ცდომილების მხილსეა, იქნება-რა ამავე დროს, ყოველთვის მთავრობასთან ერთად, საქართველოს როგორც გარეშე ისე შინაურ მტრების წინააღმდეგ.

III **რეზოლუცია ბ-ნ გ. გვაზავას მოხსენებაზე: „პროგრამის პოლიტიკური ნაწილი“**

საქ. ეროვ.-დემოკ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ გ. გვაზავას მოხსენება პროგრამის პოლიტიკური ნაწილის შესახებ და პარტიულ მოქმედების საგნად დაისახა:

1) საქართველოს სუვერენობის დაცვა.

2) დაცვა და განმტკიცება სახელმწიფოს წყობილების დემოკრატიულ და რესპუბლიკურ საფუძვლებისა.

3) ფართოდ გატარება ცხოვრებაში საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სამოსამართლო ფუნქციათა დაყოფვის პრინციპისა.

4) რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესება.

5) საკანონმდებლო ორგანოს ერთპალატიანობა.

6) საარჩევნო სისტემის ოთხფორმულიანი და პროპორციული ხასიათი.

7) საქართველოს საარჩევნო ოლქებად დაყოფვა.

IV **რეზოლუცია ბ-ნ ნ. ნაკელიძის მოხსენებაზე: „ჩვენი საფინანსო და სამრეწველო პოლიტიკა“.**

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ ნ ნ. ნიკელაძის მოხსენება ჩვენი საფინანსო და ეკონომური პოლიტიკის შესახებ, და მიიღო შემდეგი დებულებანი:

1. საქართველოს ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა უნდა და დაფუძნდეს იმავე პრინციპებზე, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ მეომარ სახელმწიფოებს დიდი ომის დროს, ესე იგი რაც შეიძლება მეტად უნდა გავაძლიეროთ შინაური წარმოება და გადამუშავება ნედლი მასალისა, ხოლო ჩვენი ნაწარმოების უცხოეთში გაზიდვა ისეთის ფორმით და იმ სისტემით უნდა მოეწყოს, რომელიც უცხო ბაზარზე უზრუნველ ჰყოფს მის ნამდვილ ფასს და სამაგიეროთ მიგვაღებინებს ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო საქონელს ნორმალურს ფასებში. ამ მიზნით უნდა იქმნეს გამოყენებული თვით სახელმწიფოს როლი სხვა და სხვა სახით.

2. საქართველომ უნდა დაიარსოს თავისი საკუთარი ვალუტა.

3. საქართველოს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო ბანკი, აღჭურვილი ემისიის უფლებით.

4. რუსეთის ბანკების, დამზღვევ საზოგადოებების და საპენსიო კასების განყოფილებანი საქართველოში უნდა გაუქმდნენ და მათი პასივის ანგარიში საფუძვლიანად უნდა იყოს გამკვლეული და უზრუნველყოფილი.

V **რეზოლუცია ბ-ნ ა. ასათიანის მოხსენებაზე: აგრარული პოლიტიკა.**

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ ა. ასათიანის მოხსენება შესახებ აგრარულ პოლიტიკისა საქართველოში და დაადგინა:

რევოლიუციურის გზით მოხდენილმა აგრარულმა რეფორმამ დიდი არევდარევა შეიტანა ჩვენს სახალხო მეურნეობაში და სრულიად ვერ გაამჯობესა მიწა-ნაკლულ მშრომელთა მდგომარეობა.

სახალხო მეურნეობის ინტერესები მოითხოვს დაუყონებლივ გადასინჯულ, შეცვლილი და შევსებული იქმნას რევოლიუციის დროს გამოცემული დეკრეტები.

1. ამიერ-კავკასიის სეიმის 7 მარტის დეკრეტით, დაწესებული მფლობელობის ნორმა შეცვლილი უნდა იქმნას თანახმად სახალხო მეურნეობის ინტერესებისა და ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის საჭიროებისა.

2. მიწის ჩამორთმევის კანონი არ უნდა შეეხოს უმაღლეს ინტენსიურ კულტურის მეურნეობებს. ხოლო, როდესაც ასეთი მეურნეობა სახელმწიფოსთვის არის საჭირო და მისი გამოსვლები საგებლობაში უნდა დარჩეს, მისი გამოსყიდვა და ჩამორთმევა უნდა მოხდეს საერთო წესით.

3 დაწესებულს ნორმაზე ზევით ჩამორთმეულს მიწებში რესპუბლიკის მთავრობამ უნდა მისცეს მეპატრონეთ ზომიერი სასყიდელი სახელმწიფოს სესხის ფურცლებით, ანუ სახელმწიფო რენტით.

5. სახელმწიფო ფონდში გადასული მიწები უნდა მოხმარდეს მიწა-ნაკლულ მშრომელთა საჭიროების დაკმაყოფილებას და უნდა გადაეცეს მათ სრულს საკუთრებად შეღავათიან ფასებში და გრძელ ვადიან სესხად.

5. რესპუბლიკის განაპირა მიწები უნდა გამოყენებულ იქმნას შინაურ კოლონიზაციისთვის და იქ საქართველოს მთავრობის მიერ ჩასახლებულთ მიწა უნდა მიეცეს განსაკუთრებულად შეღავათიანს პირობებში და ამავე დროს მთავრობამ მათ დაპმარება უნდა აღმოუჩინოს დასახლებასა და სახლ-კარობის გაშენებაში.

რეზოლუცია ბ-ნ ა. ასათიანის მოხსენებაზე მუშათა საკითხი.

საქ. ეროვნ. დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ, მოისმინა ა. ასათიანის მოხსენება შესახებ მუშათა საკითხის მდგომარეობისა საქართველოში და დაადგინა:

ცალმხრივ და უკიდურესი პოლიტიკის წარმოებამ შრომის საკითხში დიდათ დააზიანა საქართველოს ისედაც სუსტი და განუვითარებელი წარმოება. შრომის ნაყოფიერების საოცარი დაცემა ჰქმნის საყოველთაო სიძვირეს და ეკონომიურს კრიზისს. საწარმოო ძალთა შებოჭვა და შემცირება კი იწვევს ქვეყნის დაღარიბებას და თვით მშრომელთა მდგომარეობის გაუარესებას,

მთელი ერისა და თვით დაქირავებულ მუშათა რეალური ინტერესები მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ გადასინჯული და შეცვლილი იქმნას რევოლიუციის დროს გამოცემული დეკრეტები შრომის შესახებ და შემუშავებულ იქმნას ის ეთი პირობები შრომისა, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარებას და აღორძინებას ხელს შეუწყობენ.

რეზოლუცია ბ-ნ ექ. თაყაიშვილის მოხსენებაზე: საქართველოს ტერიტორია.

საქართველოს ერ. დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ ექ. თაყაიშვილის მოხსენება საქართველოს ტერიტორიის შესახებ და დაასკვნა:

კონფერენცია აღნიშნავს რომ იგი მტკიცედ დგას თავის ძველ ტერიტორიულ პროგრამაზე და ავალებს პარტიულ პრესას, მთავარ კომიტეტს და საპარლამენტო ფრაქციას ყოველგან და ყველასთან შეუდრეკელის სიმტკიცით დაიცვას იგი.

VIII. **რეზოლუცია აფხაზეთის დელეგაციის მოხსენებაზე: აფხაზეთის მდგომარეობა.**

საქ. ეროვ. დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა აფხაზეთის დელეგაციის მოხსენებები აფხაზეთისა და აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მთავრობის პოლიტიკა ფსიხოლოგიურად და პოლიტიკურად აშორებს საქართველოს მის ისტორიულ მეგობარს და კულტურულ პოლიტიკურად თანაშრომელ აფხაზის ხალხს და რომ მთავრობის პოლიტიკამ მისცა ამ უკანასკნელს მრავალი საბუთი, როგორც თავისი საერთო ცთომილი პოლიტიკით ისე აფხაზეთში ყოვლად მოუმზადებელ პირების დანიშვნით საქართველოს წარმომადგენელის მაღალ თანამდებობაზედ, უკმაყოფილო იყოს და წინააღმდეგობაში ჩაგვიდგეს. კონფერენცია უპირველეს და უსწრაფეს საჭიროებად სთვლის ამ პოლიტიკას ძირითად შეფვლას და ყოველ ზომას მიიღებს იმ აფხაზის ხალხთან დასაახლოვებლად, რომელსაც ჩვენთან გულწრფელი მეგობრობა და საერთო პოლიტიკის ცხოვრება სწადიან. კონფერენცია ავალებს პარტიულ პრესას, მთავარ კომიტეტს და საპარლამენტო ფრაქციას ამ მიმართულებით ფართო და ენერგიული მოქმედება აწარმოვოს.

კონფერენცია ავალებს პარტიის სათანადო ორგანოებს აფხაზეთში მუშაობა განსაკუთრებული ზრუნვის საგნად გაიხადოს.

რეზოლუცია ბ-ნ სპ. კედიას მოხსენებაზე: პოლიტიკურ პარტიების ურთიერთობასა და არა-სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიების შეერთების შესაძლებლობაზე.

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ სპ. კედ-

დიას მოხსენება შესახებ პოლიტიკურ პარტიების ურთიერთობისა და არა სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიათა შეერთების შესაძლებისა და დაადგინა:

კონფერენციამ მიიღო რა სახეში ის წინასწარი მუშაობა, რომელიც მამართული ყოფილა საქართველოში მომქმედ სამ არა სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიის: ეროვნულ-დემოკრატების, რადიკალ-დემოკრატების და უპარტიოთა კავშირის—გასაერთიანებლად საერთო დემოკრატიული საფუძვლებისა და კერძო საკუთრების პრინციპის ნიადაგზე და ის ფაქტი, რომ ამგვარი გაერთიანების საჭიროება ყველას თანახმად უგრძვნია,—მიიღო რა ყოველივე ეს სახეში, კონფერენცია სასურველად და პოლიტიკურად მიზანშეწონილად სცნობს ერთ პარტიაში ყველა, იმ მიმდინარეობათა მოქცევას, რომელნიც მტკიცედ იცავენ სახელმწიფო წყობილების დემოკრატიულ საფუძვლებს და კერძო საკუთრების პრინციპებს. კონფერენცია ავალებს მთავარ კომიტეტს შესაფერისად იმოქმედოს ამ დაწყებული მუშაობის დადებით დაბოლოებისათვის. შეერთების ტეხნიკა და ფორმა გადასჭრას თვით მთავარმა კომიტეტმა პარტიის ორგანიზაციის და მისი ძირითადი იდეოლოგიური საფუძვლების დაუზიანებლად.

რეზოლუცია ბ-ნ პ. სურგულაძის მოხსენებაზე: საქარელის მხედრობა.

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ პ. სურგულაძის მოხსენება. საქართველოს მხედრობის შესახებ და დაადგინა:

1. ვინაიდან საქართველოს სამხედრო ძალის განმტკიცება არის ერთი უპირველესი საშუალებათაგანი ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვის და განმტკიცებისათვის, ამიტომაც იგი ავალებს პარტიის ყველა სათანადო ორგანოს შეუყენებელის ენერგიით იმოქმედოს რათა სასწრაფოდ მიღებულ იქმნას ყველა საჭირო ზომები, ვისგანაც ჯერ არს, საქართველოს მხედრობის გაძლიერებისათვის. და 2. ვინაიდან ერთი დანიშნულების ორი ძალა: გვარდია და რეგულიარი ჯარი ერთმანეთს დაშორებულია სარდლობით და ორგანიზაციით და თვალსაჩინო უთანასწორო პირობებშია ჩაყენებული როგორც ნივთიერად, ისე მორალურად და ოფიციალურ მიწოდებისა და პატივისცემის მხრივ და ვინაიდან ყოველივე ეს ამ ორ ძალას შორის მძვლვარებას ამყარებს და მით ასუსტებს საქართველოს მხედრობის ძლიერებას და სამხედრო მორალოს ერთპირიანობას, ამიტომაც კონფერენცია გამოსთქვამს სურვილს რომ დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ შეჰქმნან ბუნებრივი პირობები ამ ორი ძალის გაერთიანებისა. და ჭრთსარდლობის ქვეშ მოქცევისათვის.

რეზოლუცია ბ. პ. სურგულაძის მოხსენებაზე საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა

სექ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ ღრმად დარწმუნებელია, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდელობა იხსნის ქართველ ერს გადაგვარებისაგან და გაუხსნის მას ფართო შემოქმედების და აღორძინების გზას, სრულის შეგნებით, რომ ქართველ ერს აქვს საკმაო შემოქმედების ძალა დამოუკიდებელ არსებობისთვის, წინადადებას აძლევს საქართველოს მთავრობას აწარმოვოს გაბედული პოლიტიკა, ქართველი ერის დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ მიმართული, ხოლო ქართველ ერს მოუწოდებს განურჩევლად მიმართულებისა საგარეო საკითხების გადაჭრაში იქმნეს ერთსულოვანი და თავი მოიყაროს საქართველოს მთავრობის გარშემო და ყოველი მსხვერპლის მოურიდებლად დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა.

ქართველმა ერმა უნდა განამკვიდროს შეზობლებთან კავშირი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გეზი ევროპისკენ წარმართოს.

რეზოლუცია ბ-ნ პ. გოთუას მოხსენებაზე: თვითმართველობები.

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ პ. გოთუას მოხსენება თვითმართველობის შესახებ და დაადგინა:

1. კანონი თვითმართველობების შესახებ უნდა დადგინებულ იქმნეს დამფუძნებელ კრების მიერ ცენტრალურ მმართველობის სახელმწიფოებრივი კომპეტენციის შეუზღუდველობის პრინციპზე ადგილობრივ თვითმართველობათა სასარგებლოდ

თვითმართველობათა უფლებები საბიუჯეტო, ადმინისტრატიულ და სხვა უნდა იყოს ნათლად გამორკვეული, რომ არ მოხდეს ერთმანეთში არევა და შეტაკება სახელმწიფოს უზენაეს და თვითმართველობათა ადგილობრივ უფლებებისა.

2. თვითმართველობები უნდა დაადგნენ შემოქმედებით მუშაობის გზას და აწარმოვონ რეალური პოლიტიკა, რომელიც უნდა იყოს ყოველივე პარტიობის გარეშე; და უმთავრესად უნდა მიუძღოდნენ და ხელს უწყობდენ მეურნეობის აღდგენას, განათლების და ჯანმრთელობის საქმეს, წესიერი მიმოსვლის მოწყობას. მრეწველობის განვითარებას და საერთოდ ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას.

3. ეროვ. დემ. პარტია მონაწილეობას იღებს თვითმართველობის მუშაობაში, აწარმოებს საქმიან ოპოზიციას თვითმართველობათა დასაყენებლად თვითმოქმედების და შემოქმედების გზაზედ; მონაწილეობას მიიღებს როგორც თვითმართველობათა პრეზიდიუმში, ისე გამგეობაში.

რეზოლუცია დახოცილ გმირთა ხსოვნაზე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მესამე კონფერენცია მოწიწებით მოიხსენებს მათ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ველზე თავი დასდვეს და ამით უკვდავყვეს თავისი სახელი, ნუგეშით მიმართავს მათ ჰირისუფლებს და გამოსთქვამს სურვილს, რათა ყოველმა საზოგადოებამ ააგოს ძმური ძეგლი, რომელზედაც აღნიშნული იქნება საქართველოსთვის თავდადებულთა სახელი.

კონფერენციას მოხსენდა აგრედვე მოხსენებანი ა) ბ-ნ ს. დანელიასი: ჩვენი ეკონომიური პრესპექტივები და ბ) ბ-ნ ს. კედიასი—საქართველოს პოლიტიკური სახე. ჩვენი დოქტრინა და სინამდვილე.

გამოთქვა სურვილი ამ საკითხების პარტიულ წრეებში წაკითხვისა და პარტიულ პრესაში გარჩევისა. რეზოლუციები არ გამოუციათ.

კონფერენციამ განიხილა და დაამტკიცა პარტიული შენობის წესდება, ბ-ნ დანელიას მიერ მოხსენებული.

დასასრულ მოხდა არჩევნები: მთავარკომიტეტისა, პარტიული სასამართლოსი და სარევიზიო კომისიისა.

კონფერენციის პროგრამის სრული ამოწურვის შემდეგ, პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ-ნ სპ. კედიამ დასკვნითი სიტყვით მიმართა ჩამოსულ დელეგატებს და მოუწოდა მხნე და ენერგიული მუშაობისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი

ბაქოს გაზ. „ბაკინსკაია ჟიზნ“-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

„კონსტანტინოპოლიდან მოსული ცნობით, საზავო კონფერენციამ თანხმობა გამოაცხადა საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. ეს სახელმწიფონი უნდა ფედერატიულად გაერთიანდნენ და რუსეთის 6 მილიარდ მანეთის ვალი იკისრონ.

ი. ღარეთელი—ამსტერდამის პროფესიულ კავშირის კონფერენციაზე

როგორც მკითხველს მოეხსენება, ამსტერდამში, მოწვეულია საერთაშორისო პროფესიულ კავშირთა კონფერენცია. საქართველოს პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა, რომ წარმომადგენლობა მიანდოს საქართველოს დელეგაციის წევრს ირაკლი წერეთელს. შესაფერი მანდატი ირ. წერეთელს კიდეც გაეგზავნა.

პრონიკა

დღეს დილის ათ საათზე, რედაქციის ბინაში დანიშნულია ახლად არჩეული ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტის პირველი კრება. კრების საგანია პრეზიდიუმის არჩევა და სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხი. ძველი პრეზიდიუმი სთხოვს ახალ წევრებს კრებას უკლებლივ დაესწრონ

რედაქციისაგან. ჩვენი გაზეთი, რომელიც მთავრობის განკარგულებით შეჩერებული იყო ერთი კვირით, დღეიდან ისევ გამოვა. გაზეთ „საქართველოს“ გამოცემის განახლებით, გაზეთი „ახალი საქართველოს“ გამოცემა შეწყდება.

უკრაინის სამხედრო ატაშე. უკრაინის დიპლომატიურ მისიასთან ამიერ კავკასიაში. სამხედრო ატაშეთ პოლკოვნიკი ნ. ჩეხოვსკი დაინიშნა.

მეაფთიაქეთა შეკრება. ფინანსთა სამინისტრომ დაადგინა სპირტზე სააქციზო გადასახადი ვედროზე 200 მან. გაადიდოს. ამიტომ საქართველოს მეაფთიაქეთა კავშირმა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ის სპირტი, რომელიც წამლების დასამზადებლათ დასჭირდებათ განთავისუფლებულ იქმნას სააქციზო გადასახადები საგან. წამლებისათვის მთელ საქართველოს რესპუბლიკაში წლიურათ დაახლოვებით 5,000 ვედრო სპირტი დაიხარჯება

კლასის დამრიგებელ ქალთა თანამდებ. გაუქმება. განათლების მინისტრის განკარგულებით მომავალ სამოსწავლო წლიდან ქალთა გიმნაზიებში კლასის დამრიგებელ ქალთა ინტიტუტი გაუქმებული იქმნება.

ფრონტის დღე. ფრონტის დღეების მომწყობი კომიტეტი მოუწოდებს ყველა მათ, ვინც ორგანიზაციის მიერ არჩეული იყვენ ამ დღებისთვის სამუშაოთ, მაგრამ არ ინებეს გამოცხადება—დაუყონებლივ შეასრულონ თავისი მოვალეობა. ეს ყველასათვის სავალდებულოა. ვისაც სწამს ჩვენი მომავალი და თავისუფლება, ვინც დაინტერესებულია ამ დღეების ღირს შესანიშნავათ ჩატარებაში, ყველამ ისწრაფეთ ეხლავე ჩაებათ მუშაობაში და ამის შესახებ წინდაწინვე განუცხადეთ სასახლეში სერ. ჟორჟოლიანს. მხურვალე თხოვნით მივმართავთ ჩვენს მწერლებს, პოეტებს, იუმორისტებს, მსახიობებსა და მხატვრებს, მემუსიკეებსა და მოცეკვავებს, ცირკის მოღვაწეთა და სხვებს დაგვეხმარონ ამ დღის მნიშვნელოვნათ მოწყობაში უსასყიდლოთა და საფასურით. სასურველია ეხლავე ამის შესახებ სურვილი იყოს გამოთქმული. მოვუწოდებთ მოსწავლე ახალგაზრდებს ჩაებან საერთო მუშაობაში 19 და 20 ივლისს ყველა უნდა ამუშავდეს ვინც ჩვენთან არ იქნება, ის ჩვენი წინააღმდეგია.

მთავრობის წრეებში

მისახალმებელი დეპეშა ზემო სვანეთიდან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ზემო სვანეთის დელეგატთა ყრილობიდან შემდეგი მისასალმებელი დეპეშა მიიღო: „ზეშო სვანეთის დელეგატთა ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს დამფუძნებელ კრებასა და მთავრობას და აღუთქვას მათ ყოველგვარ დახმარებას, სამშობლოს დაცვის საქმეში“.

ცირკულიარი ჯარში გაწვევის შესახებ. მთავრობის თავმჯდომარემ ყველა უწყებებსა და საზოგადო დაწესებულებებს შემდეგი ცირკულიარული მიწერილობა დაუგზავნათ: „ცნობილია, რომ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მსახურებენ ისეთი პირნი, რომელნიც ვალდებულნი არიან მოიხადონ სამხედრო ბეგარა ეს სრულიად შეუწყნარებელია საზოგადოთ და განსაკუთრებით კი დღევანდელ პირობებში, როდესაც თვითეული ჯარის კაცი მეტად საჭიროა ფრონტზე. ამიტომ სასტიკად მოუწერ ყველა დაწესებულებებზე საჩქაროთ შეამოწმონ სიები მოსამსახურე პირთა და თუ აღმოჩნდნენ ისეთნი პირნი, რომელნიც სამხედრო ბეგარას გაურბის, დაუყონებლივ გადააყენონ თანამდებობიდან და მათ შესახებ ეცნობოს სათანადო უწყებას.

ოსეთში საერობო ერთეულის შემოსაღებად. შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობას წარუდგინა პროექტი, მთა-ოსეთში საერობო ერთეულის შემოღების შესახებ. პროექტის წინასწარ განსახილველად შესდგა სპეციალური კომისია, შინაგან საქმეთა, იუსტიციის (თავმჯდომარეობით) და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენელთაგან.

ერობისა და მთავრობის ურთიერთ დამოკიდებლობის შესახებ. მთავრობის დადგენილებით, ერობისა და მთავრობის ურთიერთ დამოკიდებულების დებულების შესამუშავებლად შესდგება საგანგებო კომისია, სათანადო უწყებათაგან, კომისია დებულებას შეიმუშავებს ერობათა ცენტრალურ ბიუროსთან ერთად.

სხვა და სხვა ამბები.

ინგლისელი ჯარისკაცების ჭურდობა. 11 ივლისს ღამის 2 საათზე, ბოგომოლოვის სახლიდან (იზმაილოვის ქ. № 9) ორმა ინგლისელმა ჯარისკაცმა მოიპარა რამოდენიმე ათასი მანეთის საქონელი. ჯარისკაცები დაატიმრეს.

ჭურდობა 9 ივლისს მელიტონ სალუკვაძის ბინიდან (გორის ქ. № 21) ბოროტ-გამზრახველებმა მოიპარეს 7,000 მან. სხვა და სხვა ნივთები.

სისხლის სამართლის მილიციაში

მადლობის გამოცხადება. ელექტრო ტეხნიკურ კონტორა „ენერგის“ წარმომადგენელმა წერილობით მადლობა განუცხადა თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსს პ. ჰაჩულიას იმ 53,565 მანეთის აღმოჩენისათვის რომელიც ამ კანტორიდან გაიტაცეს.

იარაღის პოვნა

სისხლის სამართლის მილიციის წევრებმა 8 მკათათვეს გეგელეს იარაღის მაღაზიაში აღმოაჩინეს სასროლი იარაღი, მასალა და საომარი ტყვიები რის ნებართვაც მას არა ჰქონდა.

ძრვები.

ორშაბათს საღამოს 7 საათზე დანიშნულია მწერალთა კავშირის და სამხატვრო ცენტრის მორიგი კრება. მსახიობთა კავშირის ბინაზე. წევრების დასწრება აუცილებელია, რადგან ირჩევა საგულისხმო კითხვები.

სომხეთი

სომხეთის დეპეშათა სააგენტო

ორდუბადთსა და მის ახლო სოფლებში ოსმალური აგენტები სომხების წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. თათრები შეიარაღებულები არიან. ვოხთანის, შარურის და ნახიჩევანის სომხები მთლად უიარაღონი არიან.

სომხეთ ეროვნულ კავშირის მიმართვა შეერთებულ შტატებისადმი

ამერიკულ გაზეთების სიტყვით სომხის ეროვნულმა კავშირმა მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას თხოვნით, რათა დასტური დასცეს 10,000 ამერიკულ სომხისგან ჯარი შეადგინოს. ჯარში შევიდნენ აგრეთვე ამერიკის ჯარებში სამხედრო სამსახურის გამწვევი ახალგაზრდა სომხები. („აშხატავორი“).

გენ. როვიანოვსკის მოხსენება გათუმის შესახებ

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ მთავარსარდლის მთ. წარმომადგენელი მოკავშირეთა წინაშე ბათუმში.
18—31 მაისს—1919 წ.
№ 68
ქ. ბათუმი.

ახლი ახლისაგან.

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალთან არსებულ საგანგებო ხაბჭოს თავმჯდომარეს.

მოხსენება

ვსარგებლობ ა. სავინსკის ბათომზე ჩამოვლით და ვეცნობი ჩემს მოხსენებას ბათუმის და ბათუმის მხრის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. რაც ჩემს მცირე მოხსენებაში არ არის ამის შესახებ სიტყვიერად მოგახსენებთ ა. სავინსკი.

რუსეთის პოლიტიკურ გავლენის განსამტკიცებლად ბათუმსა და ბათუმის ოლქში საჭიროა:

1) მოეწყოს საქონლის წესიერი გაცვლა-გამოცვლა გამოცვლა და მოხალისეთა ჯარის შორის, უპირველესად ხალხს უნდა მიეწოდოს სურსათი და საქონლის საკვები.

ამ მიზნით სასარგებლო იქნება დაარსდეს მოხალისეთა მთავარსარდალთან ბიურო ან სასურსათო სამმართველო.

2) მოეწყოს გემთა მიმოსვლა და ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი.

3) გაადვილდეს ბათუმში შესვლა და გასვლა მოხალისეთა სამფლობელოს მოქალაქეთათვის.

4) მოეწყოს საბანკო ოპერაციები ჩრდილო კავკასიასა და ბათუმს შორის.

5) მოეწყოს ვალიუტის ერთფასიანობა რომელიც საბოლოოდ დასცემს ქართულ ბონებს, რომელიც სწრაფად ძირს იწევს (ჩემს იქ ყოფნის დროს „კერენსკის“ 1000 ნანეთიანში ჯერ 1,400 მანეთს აძლევდნენ და მერე უცბად 1,700 მანეთამდე დაეცა ბონების ფასი.

6) ყოველი ღონით აქაურ გაზეთ ნაშა კრაი“-ს დახმარება, არ დავიშუროთ, რომ იგი გამოდიოდეს ორ ან სამ ენაზე: რუსულ, ოსმალურ და ქართულზე. გაიაფდეს იგი მინიმუმამდე და მიეცეს მას საშუალება რომ კვირაში ერთხელ მაინც ნახატებიანი დამატებით გამოვიდეს.

7) ძლიერი ბრძოლა საქართველოს პროპაგანდისა და დაპყრობით სურვილების წინააღმდეგ. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს გავლენა ჩვენი საქმისათვის გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს ვიდრე ოსმალეთის გავლენა. ეს გავლენა არა მარტო გამხრწნელად მოქმედობს მცხოვრებლებზე და მათში სოციალისტ ბოლშევიკურ სულისკვეთებას ჰქმნის, არამედ უსისინებს მთელ რუს მოსახლეობაზე.

მაჰმადიანთა მთელი მოსახლეობა ასე თუ ისე მაინც ქართული მოდგმისაა, მაგრამ მაინც მცირე ნაწილის გარდა, ერთ ტომის ქართველები მეტად ეჯავრებათ. ეს სიძულვილი აღმოცენებულია როგორც რელიგიის სხვა და სხვაობაზე ისე იმ სისხლიან ომებზე, რომელიც ოსმალთა აგენტებმა მოაწყვეს აჭარელთა დახმარებით. აჭარლები თავის საქართველოსთან შეერთებაში ჰხედავენ თავის სარწმუნოების სრულ განადგურებას და პატრიარქალურ ცხოვრების დაშლას. რუსეთის გავლენის მათ არ ეშინიათ და ეს ჩვენ უნდა ვისარგებლოთ.

8) ამ ბრძოლის ნაყოფიერებისათვის ჩვენი პროპაგანდის მიზანი უნდა იყოს, რომ დავარწმუნოთ აჭარლები იმაში, რომ რუსეთი არ მომკვდარა, რომ დიდი სისწრაფით იგი ისევ ფეხზე დგება. აჭარლებში ნაყოფიერ მუშაობისათვის აუცილებლად საჭიროა რომ მათ შორის გავლენიანი პირნი, სამხედრონი თუ სასულიერონი ჩვენ გარშემო შემოვიკრიბოთ.

9) აუცილებლად საჭიროა ბათუმსა და მის ოლქში ჩავაყენოთ მოხალისეთა ნაწილი, 3—4 ბათალიონი მაინც, მრავალი ტყვიის მფრქვეველებით და ზარბაზნებით, კარგად შეიარაღებული და სურსათით უზრუნველ ყოფილი.

10) უნდა გარკვევით შეუთანხმდეთ ინგლისელებს, რომ მათ ხელი შეგვიწყონ ბათუმში რუსეთის გავლენის გავრცელებაში, რათა რუსებს მუშაობა ფარულად აღარ სწარმოებდეს, როგორც ახლა არის. ასეთი მდგომარეობა არ შეეფერება აღორძინების გზაზე მდგარ რუსეთს და დიდ ბრიტანეთს, თუ მართლა სურს რუსეთის დახსნა და თვის თავის ბოლშევიზმისაგან გადარჩენა, მან აშკარად უნდა აწარმოოს რუსეთის დამხმარე პოლიტიკა.

11) აუცილებელი საჭიროა რომ ბათუმის წარმომადგენლობა ფულით, პიროვნული შემადგენლობით და აგრეთვე შესაფერი მდგომარეობით უზრუნველყოფილი იქმნას.

12) უნდა მოეთხოვოს ინგლისელებს, რომ ოლქის მართველობაში უფლება მიიღოს ჩვენმა წარმომადგენელმაც, რომ უფლება მოგვცეს რომ, რუსეთის მიზანთათვის ზოგი შეუფერებელი მოხელე, ინგლისელთაგან დაყენებული, გადაყენებულ იქმნეს.

13) ერთი სიტყვით, უნდა ინგლისელების დამოკიდებულება რუსეთის საქმეებთან შეიცვალოს: საქართველოს გავლენას ისინი აშკარად მხარს უჭერენ, იმ დროს როდესაც რუსეთს აშკარად არ თანაუგრძნობენ.

14) აუცილებელია რომ ჩემს განკარგულებაში მომეცეს არა ნაკლებ 100—150 ათას მანეთისა პოლიტიკურ მუშაობის ნაყოფიერ წარმოებისათვის. თუ პრინციპიალურად დათანხმდება საბჭო ამ თანხის გაღებას მაშინ წარმოვადგენ დაწვრილებით ანგარიშს.

დედანს ხელს აწერს: გენ. მაიორი **რომანოვსკი.**
მთავარსარდლის რეზოლიუცია: „დანარჩენ პუნქტებს ვადასტურებ“.
(„ბორბა“)

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ მთავარსარდლის მთ. წარმომადგენელი მოკავშირეთა წინაშე ბათუმში.

გენ. დრაგომიროვის რეზოლიუცია: „სურსათი“-ს შესახებ.

მთავარსარდლის რეზოლიუცია სათაურით: „ამას აკეთებენ ინგლისელები, ვფიქრობ, რომ ეს ჩვენთვის ძნელი იქნება“.

გენ. დრაგომიროვის რეზოლიუცია: „ვაჭრობა-მრეწველობა“.

გენ. დრაგომიროვის რეზოლიუცია: „შინაური საქმე“.

გენ. დრაგომიროვის რეზოლიუც.: „ფინანსები“.

(რეზოლიუცია გენ. დრაგომიროვისა „პროპაგანდა“.

მთავარ სარდლის რეზოლიუცია: „ჯერ ძნელია“.

მთავარსარდლის რეზოლიუცია: „პროგრამა და ანგარიში“.

მთავარ სარდლის რეზოლიუცია: „იყავით ენერგიულები, მორალური ფაქტორი,

სად არის სამართალი?

(წერილი მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატოსადმი):

მე მსურს ვამცნო საზოგადოებას ის უსამართლო და უდიერი საქციელი, რომელიც ჩაიდინა მიწადმოქმედების სამინისტროს, აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგემ ბ-ნ ჩადუნელმა, განყოფილების საქმის მწარმოებლის მ-ია წინაშე. ჩვენ არ შეუდგებით ბ. ჩადუნელის დახასიათებას, რომელიც წარმოადგენს სოციალისტ-ბიუროკრატის ტიპს და მოკლებულია ყოველივე საზოგადოებრივ ღირებულებას. საქმე შემდეგში გახლავთ: ახალციხის ომის სამობილიზაციო კანონის ძალით მოხელე მ-ია გაწვეული იყო ჯარში საერთო წესით. მან დაჰყო სულ ერთი თვე და ჯარიდან გაანთავისუფლეს როგორც ოჯახის ერთად ერთი მარჩენალი, მაგრამ ჩადუნელმა ისარგებლა შემთხვევით და პირადი სურვილისამებრ ზურგს უკან შეამოკლებინა ჯარში მყოფი მოხელე. როდესაც მ-ია დაუბრუნდა თანამდებობას, გამგემ ნახვისთანავე აცნობა მას, რომ ის როგორც ფაქტიურად სამსახურში არა მყოფი (ჯარში იყო) შტატების შემცირების გამო გამორიცხულია სამსახურიდან. ამ ცნობით მოხელე სახტად დარჩა და უპასუხა, რომ დამფუძნებელი კრების სამხედრო სამობილიზაციო კანონის ძალით ჯარში მყოფ მოსამსახურის შტატ გარეშე დატოვება აკრძალულია, მის დაბრუნებამდეო. მაშინ ჩადუნელმა ჩვეულებრივ ხრიკს მიმართა და უთხრა, თქვენთვის სამუშაო არ იყო რაო და შეგამოკლეთო. მოხელემ უპასუხა კარგი და პატიოსანი, თუ საქმის სიმცირე და ინტერესი მოითხოვდა შემოკლებას, რატომ მე საქმის მწარმოებელი დამითხოვეთ და არა ჩემი თანაშემწე ქალი—სომეხი, რომელმაც ქართული არ იცის და დიდ გაუგებრობას იწვევს მთხოვნელებში? გამგე სიმართლეზე გაბრაზდა და დაიწყო ჩვეულებრივი ყვირილი: ეს თქვენი საქმე არ არის, უკმაყოფილო ხართ, ვისაც გსურთ მიმართეთ, თქვენთან ლაპარაკი არა მსურსო.

მოხელემ პირადად მიმართა ამ საქმის შესახებ ბ. გელეიშვილს, მან ყურადღება არ მიაქცია და ისევ ჩადუნელზე მიუთითა. მაშინ მოხელემ მოინდომა ბ. ხომერიკის ნახვა, მაგრამ მის ნახვას ვერ ეღირსა. ვრცლად დაწერილი განცხადება შეუგზავნა ბ-ნ მინისტრს, რომელშიაც ის მოითხოვდა საქმის კანონიერად გარჩევას და თავის უფლებების აღდგენას, საუბედუროდ ყველაფერმა უშედეგოდ ჩაიარა ჩადუნელის ზეგავლენით. მოხელე კი პასუხის ღირსად არ გახადეს ბევრი ცდის შემდეგ მოხელე დარწმუნდა, რომ ის მოექცა ისეთი უკანონობით მოჯადოებულ წრეში, რომელშიაც ვერაფერს გააწყობდა და შეურცხყოფილი წავიდა.

მეტის მეტად ამაღელვებელია ასეთი მოქცევა მ—იასადმი, რომელიც პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას სამსახურში, ჯარში იყო გაწვეული სამშობლოს დასაცავად, თავის პირადი შრომით არჩენდა ოჯახს, რისთვისაც სამხედრო უწყებამ ის გაანთავისუფლა ჯარიდან, მიწადმოქმედების სამინისტრომ კი ოჯახის რჩენისგან, მით უმეტეს, როდესაც მთელი სამინისტრო გაუდილია სომეხ რუსებით, რომელთაც არც საქმე იციან და არც ენა, ისინი უნდა დარჩნენ სამსახურში, ქართველი მოხელე-ჯარისკაცი კი ქუჩაში გამოაგდოს უმუშევარი. ეს მოვლენა შეურაცხმყოფელია ქართველ მოქალაქისათვის უცხოელების თვალში.

ნუ-თუ ბ. ჩადუნელის ბრძნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მოითხოვდა, თუ არა მისი პირადი სურვილი, რომ გამოცდილი ქართველი მოხელე დაეთხოვა და მის ადგილზე დაეტოვებინა სომეხი ცოლ-ქმარნი—ყორღანოვები, სახელმწიფო ენის უცოდინარნი და ქონებრივადაც უზრუნველყოფილნი. აი, ასეთი უმგვანო ქცევა ზოგიერთ სოციალისტ-ბოლშევიკისა ზნეობრივად აქვეითებს ნორჩ ახალგაზრდობას, ხელს უწყობს კანონიერებიდან და ჯარიდან „დეზერტირობას“ დღევანდელ მომენტში. მართლადაც, თუ ჯარში გაწვეულ მოხელეს თანამდებობა დაეკარგება, ამ შემთხვევაში ყველანი შეეცდებიან თავი დაახწიონ ჯარისკაცობის თანამდებობის შესანარჩუნებლად. ასეთი გარემოება რამდენად სასარგებლოა ჩვენი სახელმწიფოსთვის, ყველასათვის ნათელია, მხოლოდ ზოგიერთ წვრილფეხა უფროსებისათვის ძნელია, რომელნიც შემთხვევით, სოციალისტობის წყალობით, მოხვდნენ მაღალ თანამდებობაზე და ყველაფერს აკეთებენ პირადი სურვილისამებრ, მათი სიტყვა კანონია, ყოველივე უსვინდისობას სო

ციალიზმის რეპლიკით ასაღებენ. თითეულ შეგნებული მოქალაქის მოვალეობაა ყოველგვარ საშუალებებით ებრძოლოს მზგავს მოვლენებს, საჯაროდ ამხილონ უსამართლობის ჩამდენი სახელმწიფო დაწესებულებათა გამგენი, რომელნიც უსირცხვილოდ ამოფარებიან სოციალიზმის დროშას და შავ საქმეებს აკეთებენ.

მოხელე.

უცხოეთის ამბები
ჟურნალ-გაზეთებიდან.

რევოლიუცია პერუში.

როგორც ლონდონიდან კავკასიაში მყოფ ინგლისელთა შტაბს ატყობინებენ პერუში რევოლიუცია მოხდა. პრეზიდენტი და მთავრობის წევრნი დააპატიმრეს.

გერმანია ხალხთა ლიგის წევრად.

იმავე წყაროებიდან იტყობინებიან რომ გერმანიის ლიგაში შესვლის ვადა ჯერ არ გამორკვეულა. კონფერენციასთან ახლო მდგომი პირთა აზრით გერმანია ლიგის წევრად სულ ახლო მომავალში გახდება.

თემეშვარის დაცლა.

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ სერბებმა თემეშვირის დაცლა დაიწყეს. ქალაქიდან გასვლისას მათ თან წაიღეს ეროვნული ბანკის კასა და საზოგ. დაწესებულებათა და მთავრობის ინვენტარი.

ტიროლისა და ბოჰემიის ბედი.

როგორც პარიზიდან იტყობინებიან ავსტრიის დელეგაციის თავმჯდომარემ რეინერმა კლემანსოს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც პროტესტს აცხადებდა ავსტრიისაგან ტიროლისა და ბოჰემიის ჩამოშორის გამო. უამ პროვინციოდ და ავსტრიის მრეწველობა სრულიად იღუპებოდა, ავსტრიას ცხოვრების საშუალება ერთმევა.

გაფიცვების დასრულება პარიზში.

როგორც პარიზიდან იტყობინებიან, რკინიგზის მუშათა გაფიცვები იქ დასრულდა. პალატამ მუშათა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა.

მოკავშირეთა ჯარი პოლონეთში.

პარიზიდან მოკავშირეთა სარდლობას ამიერ-კავკასიაში ატყობინებენ, რომ საფრანგეთიდან პოლონეთში 30,000 ჯარისკაცი გაგზავნა 200 საველე, 80 მძიმე და 150 ტანკით შეიარაღებული.

ავღანში.

ავღანთა რეგულიარ ჯარმა საზავო პირობების თანახმადა დაწესებულ ხაზზე დაიხია. ავღანთა დელეგატები სულ ახლო მომავალში პარიზს ჩავლენ.

ბოლარეთის ახალი კაბინეთი

„ტაიმის“-ს კორესპოდენტი სოფიიდან იტყობინება, რომ მეფე ბორისის დეკრეტით მინისტრთა ახალი კაბინეთი ბოლგარიაში. ტოდოროვი ისევ მინისტრთა თავმჯდომარეთ და საგარეო საქმეთა მინისტრად რჩება. რეგიან მინისტრებადვე ძველი კაბინეთის წევრნი: კოსტურკოვი, დანევი, საკასოვი, სტამბულსკი, მაკალოვი და დრაგიევი.

ახალი მინისტრთაგან მადიაროვმა ჩაიბარა სამხედრო სამინისტრო, რომელიც წინად ლიაპჩიევს ჭონდა.

ეს მინისტრი დიდხანს იყო ეროვნულ პარტიის თავმჯდომარედ და სახელმწიფო საქმეებში გამოცდილ კაცად ითვლება.

1885 წ. იგი რუმინიის ფინინსთა ნაწილის დირექტორი იყო. 1894-1899 წლებში მინისტრად იყო სტოკლოვის კაბინეთში, ხოლო—1913 წელს დანევის კაბინეთში. 1898 წ. -1912 წლამდე იგი ბოლგარეთს წარმომადგენლად იყო ლონდონში.

მეორე ახალი მინისტრი პასტუხოვი შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს. პასტუროვი ზომიერ სოციალისტთა ლიდერია და უჭირავს კათედრა სოფიის უნივერსიტეტში.

მესამე მინისტრი—პროფ. ეენელიან განევი—მიმართულებით რადიკალია.

კადეტ ნათიევის შეხახებ.

გაზ. „ბორბაში“ დაბეჭდილია დეპეშა. რომელიც მოხალისეთა წარმომადგენელ რომანოვსკის მიუღია ნათიევის სიკვდილამდე. ეს დეპეშა ნათელ ჰყოფს ნათიევის პიროვნებას და ერთგვარად გააშუქებს მის სიკვდილის სიდუმლოებას:

„ბათუმი გენერალ რომანოვსკის.

„გენ. ლუკომსკის ბრძანებით გენ. ნათიევს ეკრძალოს ყოველივე რაზმების შედგენა და დაუყონებლივ უნდა გაიგზავნოს ეკატერინოდარში. ეს ყველაფერი ჩუმად უნდა მოხდეს, რომ ნათიევმა ეჭვი არ აიღოს, თორემ შეიძლება იგი გაიქცეს. ეკატერინოდარი მაისის 27-1919 წ.

ვიაზმიტინოვი 2062/00

საზოგადოების საყურადღებოდ

დღეს ქართული კლუბის ბაღში გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით, რომლის წმინდა შემოსავალი მოხმარდება ჭ. ზ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საშუალებათა გაძლიერებას, ხოლო 20 პროც. გადაიდება რესპუბლიკის წითელი ჯვრის სასარგებლოთ.

ხსენებული საზოგადოება ძველი რეჟიმის დროს მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ენერგიულათ ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის განაპირა ადგილებში ქართული ენის შენარჩუნებისა და გაძლიერების დიდ საქმეს. თავისი ეროვნული სკოლებისა, ბიბლიოთეკებისა, სახალხო და სხვა წიგნების გამოცემის საშუალებით ამ საზოგადოებამ დაუფასებელი სამსახური გაუწია ხალხში სამშობლოს შეყვარება-გაცნობისა, წერა-კითხვის გავრცელებისა და საზოგადო შეგნების შეტანის საქმეს.

განთავისუფლებულმა საქართველომაც დიდი სახელმწიფოებრივი საქმის ასრულება მოითხოვა ამ დამსახურებული საზოგადოებისაგან; დღეს საზოგადოება შეუდგა ფართო მასშტაბით წიგნების გამოცემის საქმეს. საზოგადოებასთან მუშაობს სპეციალისტთა რამდენიმე კომისია, რომელნიც ადგენენ სასკოლო ორგინალურ სახელმძღვანელო წიგნებს, სთარგმნიან ყველა ერთა კლასიკურ ნაწარმოებთ და სხვა... სახელმწიფოს პოლიტიკურ აღმშენებლობასთან ერთად თუ კულტურული მუშაობაც არაა გაჩაღებული ისე სახელმწიფო არ აშენდება.

აქედან ცხადია, თუ რამდენად საჭიროა წერა კითხვის საზოგადოების საშუალებათა გაძლიერება, მით უმეტეს, რომ გართობასა და სიამოვნებასთან ერთად დამსწრე შეიძლება ხელოვარიელიც არ დაბრუნდეს სახლში: ლატარიაში აუარებელი საჭირო ნივთებია ჩაგდებული: ხალათები, ჭურჭლეულობა, სამეურნეო იარაღები, თეთრი ფქვილი, შაქარი, სპილჭა, ძაფი, კართოფილის სანთელი, ჭურჭლეულობის საწმენდი ტილო, წიგნები და მათ შორის დიდი 300 მანეთიანი „ვეფხის ტყაოსანი“, და ა. ყაზბეგის სრული თხზულება.

ყველა მოქალაქე, რომელიც სეირნობას დაესწრობა და თავის წვლილს გაიღებს,—ამით ხელს შეუწყობს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის კულტურული გაზრდისა და დაწინაურების საქმეს.

მოქალაქე.

კანონი

უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევისა, დროებით დაჭერისა და მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის.

(მიღებული დამფუძნებელი კრების 11 ივლისის სხდომაზედ).

18. საფასურის რაოდენობის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა მიღებული იქნას არა მარტო ის, რაც დააკლდება ქონების პატრონს ქონების ჩამორთმევით ან დროებით დაჭერით, ან ქონების სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებით, არამედ ყოველივე სხვა იარაღიც, რომელიც მიეცემა პატრონს ქონების დატოვებული ნაწილის ფასის დაკარგვით ანუ იმის გამო, რომ პატრონს წინ-და წინ გაუწევია ქონებაში რამდენისამე წლის ხარჯი. მაგრამ სრულიად არ უნდა იყოს მიღებული ანგარიშში ქონების ფასის მომატება, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს განზრახულ წარმოების გამართვას, ანუ სხვა შოსალოდნელი მოგება, რომელიც მოჰყვებოდა განზრახულ წარმოებას ამ ქონების საზღვრებში.

19. სასამართლოს დადგენილებაში უნდა იყოს, სხვათა შორის, აღნიშნული: ა) ის უძრავი ქონება, რომელიც ჩამოსართმევი ან დროებით დასაჭერია, ან რომლის სარგებლობაში მონაწილეობის უფლება უნდა დაწესდეს და ავრეთვე რაში გამოიხატება ის მონაწილეობა; ბ) ვის უნდა მიეცეს ქონების საფასური; ვ) რაოდენობა საფასურისა, რომელიც მიესაჯა მამულის პატრონს წარმოების პატრონისაგან, თუ ვინმეს მხოლოდ სიცოცხლეში უძრავ ქონების სარგებლობა ეკუთვნის, განაჩენში უნდა იყოს დადგენილი, რომ წარმოების პატრონისაგან მისაჯილი ფული გაიგზავნოს სახელმწიფო ბანკში სარგებლის სამატად და სარგებელი მიეცეს მას, ვისაც სიცოცხლეში ქონების სარგებლობის უფლება ეკუთვნის, ხოლო იმის სიკვდილის შემდეგ ეს თანხა გადაეცეს ქონების პატრონს. განაჩენში უნდა იყოს განსაზღვრული სასამართლოს მიერ იმ ფულის მიხედვით, რომელიც უნდა გადაიხადოს წარმოების პატრონმა, ღირების ან თითო ფურცელზე დაწესებული გადასახადის და საქმის საწარმოებელი ხარჯი ხაზინის, სასამართლოს ბოქაულის ან უწყების დამტარებლის სასარგებლოდ, და აგრეთვე ჯილდო მოწვეული ექსპერტებისათვის. საქმის წარმოების ხარჯი განაწილებულ უნდა იქნეს ქონების და უწყების ანუ წარმოების პატრონთა და აგრეთვე სხვა მოდავე პირთა შორის, იმის მიხედვით, თუ ვისი მოთხოვნილებაა უფრო სამართლიანად მიჩნეული.

20. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ განაჩენი წინასწარ აღსრულებულ იქნეს, ხოლო საფასურის იმ ნაწილისათვის, რომელიც სადაოდ არ არის გადაქცეული, ვალდებულია ეს წინასწარი აღსრულება დაადგინოს. განაჩენის გასაჩივრება საქმეში მონაწილე პირთა მიერ და განაჩენის ასრულება სწარმოებს საზოგადო წესისამებრ სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების ძალით.

21. ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი და აგრეთვე მორიგების ოქმი, თუ ეს მორიგება მოხდა სასამართლოს წესით, შეადგენს საბუთს, რომელიც აბტკიცებს უწყების ანუ წარმოების პატრონის უფლებას განაჩენში აღნიშნულ ქონებაზე. სასამართლოს განაჩენი და მორიგების ოქმი უნდა წარედგინოს სათანადო ოლქის სასამართლოს უფროსს ნოტარიუსს რეესტრში აღსანიშნავად.

შენიშვნა: თუ მორიგება საქმის სამართლოში გადაცემამდე მოხდა, ნასყიდობის კანონიერი აქტი უნდა შესდგეს.

22. თუ მამულის ჩამორთმევის ან დაჭერის დროს აუცილებლად საჭიროა მოსპობა ამ მამულში საზოგადო გზების, ხიდეების ან სხვა ამ გვარი მოწყობილობისა, სათანადო უწყება ან წარმოების პატრონი ვალდებულია გააკეთოს უახლოეს ადგილას და თავის ხარჯით შეინახოს სამაგიერო გზები, ხიდები და სხვა ამ გვარი მოწყობილობა.

23. სხვისი უძრავი ქონების დროებით დაჭერა შეიძლება გაგრძელდეს სამ წელზე არა უმეტეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მესაკუთრეს უფლება აქვს თუ ქონება არ დაუბრუნეს, მოითხოვოს, რომ ეს ქონება სრულიად ჩამოერთვას იმ ფასად, რომელიც განისაზღვრება ამ კანონში აღნიშნული წესით.

24. როცა მთავრობა, ქალაქის საბჭო ან ერობის კრება სხვისი უძრავი ქონების ჩამორთმევის თაობაზე გამოიტანს დადგენილებას, ამ დადგენილების ასლი უნდა გაეგზავნოს სათანადო სასამართლოს უფროს ნოტარიუსს სიმტკიცის წიგნში ჩასაწერად, და დადგენილების დღიდან ქონების პატრონს უფლება ეკარგება ამ ქონების გაყიდვისა, დაგირავებისა, იჯარით გაცემისა, გაჩირავებისა ან სხვა სახით სხვისთვის გადაცემისა.

25. სამოქალაქო კანონი მე-X გ. 1 ნაწ. მე-575-608 მუხლები გაუქმებულია.

კორესპონდენცია

ბარნაბიან-ქარი (მეტ. სახ.).

აქეთ ჰაერისა და ქერის მოსავალი ძლიერ კარგი სჩანს; მხოლოდ თუ წვიმებმა არ მოუხშირეს და ხელი არ შეუშალეს მკას და მომკილები არ წაახდინეს. ქერები კიდეც იჭრება. აქაურებს ძრიელ ნაკლები ნათესები ჰქონდათ აშურანში (ურწყავია), როგორც დაშინებულებს შარშანდელი მოუსავლობით. სამაგიეროდ წვიმიანი გაზაფხულის მეოხებით თივები ბევრი გაითიბეს. ეგრეთვე მოუხდათ მეტეხელებს. სასირელებს პქონდათ ნათესები და მოსავალსაც კარგს მოელიან. ვენახები კი დაყინებულმა წვიმებმა და არეულად სიცივე-სიცხემ წაახდინეს: დაყვავილების დროს მარცვალი აღარ გამოიტანა. ამ რაიონში ვენახი უფრო მეტს წყაროს შემოსავლისას შეადგენს, რადგან უაშურიანოდ მამულის დიდი სივიწროვეა მეტეხის საზოგადოებაში მრთელს მაზრაში. ეს არის სამწუხარო,

ერთმანეთის წახდენას საჭიროებით არ მოელო ბოლო. გაზაფხულზე თითქოს ხალისით დაყუნეს მევენახეებმა, მაგრამ მალე დაითხოვეს უფრო იძულებით საქონლიანი ხალხის მხრივ, რომელიც არ რიდობენ ასეტაალონ საქ ნელი სათიბ-სათესებში.

ბარნაბიან-კარელი.

თბილისის ბირჟა
11 მკათათვე.

მცირე მოთხოვნილების გამო განწყობილება მეტად მკრთალი იყო.

ნიკოლოზის 100 მანეთიანებში იძლეოდნენ 320 მანეთამდე, 500 მანეთიანებში 1600 მანეთამდე, 1000 მანეთიანი „კერენსკები“ იყიდებოდნენ 1500—1550 მანეთად, 250 მანეთიანები კი გადიოდნენ 35 პროც. დამატებით.

ინგლისის ვალუტის მოთხოვნილება სუსტია, ფასები მცირე. ნომინალ. ფასები შემდეგია: ბანკნოტები 400 მანეთზე ნაკლები, ჩეკები კი არა უმეტეს 350 მანეთისა. ასევე ფრანგუზ ფრანკების მდგომარეობა სუსტია ბანკნოტებს იძლევიან 19 მანეთად ჩეკებს კი 15—16 მან. იტალურ ლირებს იძლევიან 15 მანეთად. გერმანული მარკები გადის 8—9 მანეთში ოსმალური ოქროს ლირები—350 მან ქალალდის ლირები—80 მანეთად.

პროცენტის მომტანი ფასიან ქალალდებიდან—რენტა გადიოდა 180 მან. თავისუფლების სესხისა—80 მან. და 5 ნახ. პროცენტის მომტანი საომარ სესხისა—115 მან. ჩეკების გამოცვლის თვის 28 მან. ითხოვდენ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნი ვერსიტეტისა
გ. გ. მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექის გულისა. იღებს ახალ რენტგენელექტრო-წამლობის კაბინეტში, სინჯვა და წამლობა X-ს საშუალებით დიდი სალენიდი და ... ელექტრონის კით ფიზიკური, გულის და სხვა ... ნაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7-52.

საქართველო კაბინეთი ეწინის
ილეს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპნება). ავადმყოფობა ... ილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტზე № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

სრფოგა ნამეგული
(ისტორიული რომანი)

61.

საღარბაზოდ შესულმა თებრონიამ კრძალვით დაიწყო საუბარი, შორიდან. ისე მიჰხარა დაბრძნობილმა სიტყვის მსვლელობა, რომ თითონ დედოფალმა გაუზიარა მას თვისი ვარამი გურანდუხტის სურვილიც ხომ ეს იყო და ამან გაუადვილა დედაბერს საქმე.

— გავბედე შენთან მოსვლა. მითხარეს, ლოცვად დგას ქვეყნიური დედოფალი ზეციურ დედოფლის წინაშეო და აღარ მივეცი მხევალს ნება მაშინვე მოეხსენებინა შენთვის ჩემი მოსვლა.

— ქვეყნიური დედოფალი! შენს ქვეყნიურ დედოფალს არ უსმენს ზეცა, არ უფონებს მას, არც უქარვებს ტკივილს გულისას, ჩემო თებრონია!

— სულგრძელია უფალი და მრავალმოწყალე: არ დაუტევებს იგი უნუგეშოდ თავის გაჩენილს, მით უმეტეს თვის მადლით ცხებულს. მეც დარდიანი ვარ, დედოფალო ვბედავ გულის სევდა გაგიზიარო; ვკადნიერობ, რადგან ეს დარდი გულსაც ჰლახვრავს.

— თქვი!

— რამდენი ხანია უნებლიეთ თვალს ვადევნებ თქვენს დიდებულ ცხოვრებას, შენსა და შენი გვირგვინოსან მეუღლის ურთიერთობას; მის ქცევას დასაფიქრებელს. მხევალი ვარ ღვთისა პირველ, მისი მსახური აღთქმა დადებული, და ვალად მაძს მოგახსენო პირდაპირ, თუნდაც დავიმსახურო რისხვაი ძნელასატანი.

— თქვი შენი სათქმელი!

— უჯეროა იმ მეძავი დიაცის სასახლეში ყოლა, მისადმი საპატიო სამსახურის მიჩემება, მეფისაგან მისი ესეთი ცხადი მფარველობა, ლამის სიახლე. და...

— და ერთობა საზიზღარი, თანამეცხედრობა უშვერი, კდემა შესხნილი...

— მით უფრო! თუ კერძო კაცი იყოს ბატონი, შემცოდე იქმნებოდა მხოლოდ თავის თავის წინაშე და თავის ოჯახისა; მაგრამ შემცოდე იგი მეფე არის, მბრძანებელი დიდებული, საყვარელი წინამძღვარი მთელი ერისა, სასიქადულო, და მისი ცოდვა ბოროტებაა მთელი საქართველოს ნიშე.

—ჭეშმარიტად! მქენჯნის მე არა მხოლოდ პირადი შეურაცხება, მწიკვნელი ჩემის კერძო ოჯახისა, არამედ შეურაცხება ქართველთა კერისა, შებღალვა ერის ზნეობისა, ცდუნება მისი საზარელი.

— ოლონდაც რომ ცდუნება საზარელი მთელი ერი ამ ძნელ დროს სახიფათოს თქვენდა მოაბყრობს თვალს, თქვენ გიგულებთ დამცველად თვის არსებობისა, შემნახველად ყოველივე იმისი, რაც გააჩნია მას სასიკეთო, რაც დაუსახავს თავის სინაზდვილედ.

— განა ხალხი მიჰხვდა უბედურებას, შენიშნა მან ცოდვათა ესე საგუბარი?

— ჯერ მხოლოდ მახლობელნი, სახლესთან დაახლოვებულნი. მაგრამ ელვის სისწრაფით მოედება ამბავი უსიამოვნო მთელ ქვეყანას კიდითკიდემდინ.

— და შეიბღალება ჩემგან დიადი ზრუნვით შექმნილი კერა წმიდა, და ჩაბნელდება შარავანდედი ჩემის თავ დაცულის ოჯახისა სასიხარულოდ ჩემ მოძულეთა, დასაღონებლად ჩემ მეგობართა.

— დასაღონებლად ზნეამაღლებულ ქართველთ ერისაც, მთელის საქართველოსი! აგარიანთ სჯულის შავმა ღრუბელმა საშინლად მოიცვა მთელი ქვეყანა; მხოლოდ ორიღა მოსჩანს ლამპარი ღვთაებურ, მოძღვრისაგან გზნებული: იქ ბიზანტია, აქ საქართველო. ჩაშავება თუნდ ერთის მათგანისა სამგლოვიარო ძაძით შეჰმოსავს ჩვენს სჯულს ბრწყინვალეს.

— რა ეგების? რით ეშველების?

— ეშველება შენის სურვილით და მსწრაფლ მოქმედებით! შეუდრკომელი ჩვენი სამსახურით!

მთლად გაენდო დედოფალი სჯულისათვის თავშეწირულ დედაკაცს. დიცი ხანი აგროვა მან ნაღვლი თვის გულში, სავსებით აპირპილებულიყო მის გრძნობათა საგუბარი დახშული! ეხლა ჰპოვა კარი მის დარდის ღვარმა, გადმოსქდა შეგუბებული, გადმოლახა ნაპირები: მთლად ამღვარნა დაფარული ატირებულმა გურანდუხტ მიუთხრა, როგორ ცდილობდა ალერსით თუ სიტკბოებით კვლავ მოეძივნა ვაჟკაცის გული ეშმაკისაგან მძლავრად ბყრობილი; როგორ შეებრძოლა ავგზაზე დამდგარს, რიგორც მანდილოსანი დამცირებული, ვით დიასახლისა კერის დამცველი, როგორც დედა უკვე მოზრდილი შვილებისა, რომლების ფაქიზ ზნეს არყევდა და განსაცდელში აგდებდა მის აშკარა უხამსობა; ბოლოს როგორც დედოფალი, დედა ქართველთა, რომლების სჯულს რყვნიდა მფლობელისაგან აშკარა რღვევა ქრისტიანულის წესწყობილებისა.

— ყოველივე ამაო გამოდგა, ჩემო კარგო, ყოველივე ცდა დაიმსხვრა და განქარდა მძლავრ მილტოლვის წინ იმ მეძავისადმი, სატანაი მრუშობისა უფლებით ეუფლა მას, დაიმონა ყოველივე მისი გულისთქმა, განდევნა მის სულიდან კდემა თუ სირცხვილი. რაღა დაშრჩენია სასოწარკვეთილს, თუ არა ლოცვა უიმედო?!

— ლოცვა უიმედო, ჩემო დედოფალო?!

— ვედრება სასომიხდილი! გაბოროტებულ გულიდან აღმომხდარ თხოვნას ვერ ისმენს მეუფე სახიერი, ჩემი გული კი გაბოროტებულია მარად ჟამს; ავის მოსურნეს ლოცვას ვერ ყურადიღებს ყოველკეთილი, ჩემი სული კი ავის მნდომნეა არა მხოლოდ იმ ეშმაკის კერძისათვის, არამედ, უბნელეს წუთში, თვით აშოტისათვისაც, ჩემის გვირგვინის! წასცდა დედოფალს.

და მთლად აეტკრიცა სახე, აენთო თვალები, ავმა ალმურმა აჰკრა მთელ ტანში, ზეაიტაცა. განძვინებული ვეფხი ღარ ამოიღო, კრინტიც არ დასძრა, არცღა შეირხა; გაქვავებული იდგა ერთს ხანს შავ მოჩვენებად. მცირედ დაცხრა განრისხებული. მონაზონმა წარსდგა ბიჯი, მოიდრიკა მუხლი მბრძანებლის წინ, ემთხვია კალთაზე.

— მისმინე, მრავალტანჯულო! ეშმასთან საბრძოლველად ჰხამს მასთან წყობაში გამოცდილი რაინდი. შენი დასტური ამიერიდან წინ უძღვის ამ ბოროტებასთან მებრძოლთ და მათ მეთაურს! უფალო, უფალო! ეტყოდნენ მიწაფენი იესოს, ბრძანე დ გადმოიგლინოს ცეცხლი შემწველი მოძულეთა შენთა ზედან!... დედოფალო დიდებულო, ჯერ ჯვარით ლშობიერის ჯვართცმულისა და ბოლოს ცეცხლით მავნეთათვის ზეცით ნაწვიმით! წარსთქვა მონაზონმა.

და წელში გაიმართა, შემაღლდა, ყელი მოიღერა. ბრძოლის სურვილმა სასტიკი იერი შეჰფინა მის ისეც მკაცრ გამომეტყველებას.

— ეკლესია, განაგრძო მონაზონმა, თანამდებთა დალახვროს და დათრგუნოს შანქანება ბოროტებისა, იმან უნდა განწმიდოს მეფის ოჯახიც სიბნელისაგან ავისა, შოაქციოს გული ცხებულისა ცთომილებისაგან. მოსპოს ცოდვა იგი საზარელი. ცოდვა, ვით ჯირკვლი რამ მავნებელი, გაიდგამს ძირს, გამაგრდება, ჩაუშვებს ფესვებს სხეულში ერთისა თუ მთელის კრებულისა, მოჰშხამავს მას, მოჰბრის საბრალოდ და მოაშთობს ბოროტად. ექიმია საჭირო, სცხოს მალამო და შეაყენოს ზრდა მისი, მოუსპოს სიცოცხლე მის ფესვებს, ამოზიდოს იგი, ამოაბრუნოს...

— და მე, უკანასკნელი მსახური ეკლესიისა, განწმედებულ ვარ ბრძოლად სასტიკად, ულმობელ—დაუნდობელად!

ძნელი საქმე იტვირთა თებრონიამ, სამძიმო გადაწყვეტილებას დაადგა იგი: მას სჭირდებოდა შებრძოლებოდა თვით მეფეს და ისეთ საქმეში, რომლითაც ძლიერ იყო გატაცებული იგი მფლობელი; ითვა მოესპო შედეგები ვაჟკაცის აღტყინებული სურვილისა, შეუმართებელის მისის ვნებისა. ძლიერ საბიფათო იყო ეს: მეფის ერთი ბრძანება და მონაზონის ყოველივე ცდა გაქრებოდა, როგორც რამ კვამლი. წინაშე ქარიშხალისა. შეიძლებოდა ბრძოლად გამოსულს სიცოცხლეც მოსპობოდა, ერთი კი ენიშნებინა აშოტს თავდადებულ მახლობელთათვის. თვით მისგან აშენებული და განმტკიცებული სავანის კედლები შეიძლებოდა დაშლილიყო მეფის რისხვით საფუძველ შერყეული. აღთქმა ადვილი იყო, შესრულება ერთობ საძნელო. ცოდვათა ამოსაფხვრელად განგებისაგან, მართალია, მოწოდებულ იყო მონაზონთა წინამძღვარი, როგორც მხედარი ქრისტესი, გარნა ცოდვათა ძალა მეტად ძლიერი იყო: დედაბერს პირისპირ უხდებოდა შებმა თვით ძალებთან ჯოჯოხეთისა. იყო წუთი, როცა ეშვი შეეპარა მცნებათა მცველად აღჭურვილს, როცა შედრკა იგი თავის მძიმე გადაწყვეტილების წინაშე. ჭირის ოფლმა დააყარა თითქო თავხედ ნაბიჯის გამო. მაგრამ სიტყვა უკვე ნათქვამი იყო, აღთქმა დადებული და ძერმე ვის წინაშე? თითონ დედოფლის წინაშე! ეხლა ყოველივე რყევა ან სურვილი, თავიდან აეცილებინა ტკივილი, თავიდან აეცილებინა ტკივილი, თავიდან აეცილებინა ტკივ